ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 აპრილი 2004 №94 (2113) ფასი 50 თეთრი


# პატარკაციშვილმა დინამო დაიქნია
## ივო შუშაკს სხვაც ბევრი მიაყოლა



ბადრი პატარკაციშვილის გუშინდელმა ენერგიულმა ვიზიტმა დიღომში ბევრი უმუშევარი დატოვა

ბადრი კეთილაძის ფოტო


„დინამოს" ახალი მწვრთნელი გია გეგუჩაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დიდი ბრძოლის ველი იყო და არის თბილისის „დინამო", სადაც ხშირია ბანაკებად დაყოფა და სკანდალურად წასვლა- მოსვლები. გუშინდელ ამბავს კი სკანდალს ვერ დავარქმევთ, რადგან მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო — „დინამოში" ივო შუშაკის ეპოქა დამთავრდა და გუნდს „დინამო 2"-ის ან უკვე ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძე დამოძღვრავს.

კლუბის პატრონი ბადრი პატარკაციშვილი დიღმის ბაზას გუშინ ნაშუადღევს ესტუმრა კინოლოგიური და შეიარაღებული ესკორტით. მისი წასვლის შემდეგ კი კრება გაიმართა, სადაც შუშაკის გეგუჩაძით შეცვლა გამოცხადდა და კიდევ ის, რომ შუშაკს კლუბის რამდენიმე თანამშრომელიც მიჰყვება — მისი თანაშემწეები, სპორტული დირექტორი, ადმინისტრატორი, ექიმი... ნურც იმას გაიკვირვებთ, თუ 1 მაისს ბოლნისის „სიონთან" შუშაკისდროინდელი „დინამოდან" ოდენ 4-5 ფეხბურთელს იხილავთ — ამბობენ, წმენდა მოთამაშეებსაც გადასწვდებათო.


ივო შუშაკი „დინამოსთვის" უკვე ისტორიაა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# დინამო: დომინოს პრინციპი




ბადრი პატარკაციშვილის ვისთვის როგორ სახსოვარი გუშინდელი დილმური ვიზიტი

**გუშინ** „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ასაფეთქებელი ნივთიერების ძიებაში დაგეშილ-გაწაფულმა გერმანულმა ნაგაზებმა საგულდაგულოდ მიყნოს-მოყნოსეს ბაზის ტერიტორია. მიზეზი ტერაქტის საფრთხე არ ყოფილა, დიღმის ბაზა „დინამოს“ „არსთა გამრიგეს“ — კლუბის მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს ელოდა.

პრეზიდენტის სტუმრობის ამბავი დილიდანვე გამოცხადდა და ბაზაზე საქმიანი და ნერვული ფუსფუსი ატყდა. ზუსტად 15 საათსა და 20 წუთზე პატარკაციშვილის ესკორტი ბაზაზე შევიდა და ჭიშკარიც ყრუდ დაიხურა. ეტყობა, „დინამოს“ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა პრეზიდენტი აიძულა, ვითარებაში უკეთ გარკვეულიყო.

პატარკაციშვილი საკმაოდ დიდხანს ესაუბრა მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს. შემდეგ ივო შუშაკსაც ელაპარაკა და ხორვატმა სწორედ მისი პირიდან შეიტყო, რომ „დინამო“ მასთან კონტრაქტს წყვეტდა. ამის შემდეგ პატარკაციშვილმა ბაზის ტერიტორია და მშენებარე სათადარიგო მოედანი დაათვალიერა.

17 საათზე კი შედგა გუნდის კრება, რომელზეც ფეხბურთელების იმ ნაწილს, რომელიც ნაკრებში არ იყო გამოძახებული, ახალი მწვრთნელის ვინაობა ამცნეს — გია გეგუჩაძე.

გუშინდელმა დღემ მარტო შუშაკი არ შეიწირა — დაითხოვეს სპორტული დირექტორი გივი ნოდია, დამხმარე მწვრთნელები რამაზ მუმლაძე და გელა ჭანტურია, გუნდის უფროსი გია იმნაძე, ვისაც ამ რამდენიმე დღის წინათ „დინამოში“ მუშაობის 15 წლისთავი მიულოცეს, ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი და მასაჟისტებიც კი. ეს ჩამონათვალი სრული არაა — უეჭველია, წმენდაში ფეხბურთელებიც მოჰყვებიან. „დინამოში“ ალბათ ძირითადი გუნდის 4-5 ფეხბურთელს დაიტოვებენ. შევსება კი „დინამო 2“-დან მოვა. როგორც ჩანს, „დინამომ“ საჩემპიონო რბოლა ნაადრევად მიატოვა.

**დავით ერაძე**

# დამთავრებული ფუსფუსი
## საჯილდაო ქვას გეგუჩაძე გამოთლის

*დაახლოებით ორი წლის წინ უმუშევარი გია გეგუჩაძე რედაქციაში ვისტუმრეთ საინტერვიუოდ. რესპონდენტს ვკითხე, საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნა რომ შემოგთავაზონ, თუ დათანხმდებით-მეთქი. არა, ამისთვის ჯერ მზად არ ვარ — იყო პასუხი.*

*გუშინ კი გადაწყდა, რომ თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გეგუჩაძე იქნება. და განა „დინამო“ ეროვნულ ასპექტში პატარა ფენომენია? ქართველებს ფეხბურთში სულ ხუთი ტიტული მოგვიხვეჭია — საბჭოთა ჩემპიონატი და თასი ორ-ორჯერ მოვიგეთ, ერთხელაც ევროპის თასების თასი — ხუთივე „დინამომ“ მოინაგრა, რომელსაც დღეიდან გია გეგუჩაძე გაწვრთნის*

გეგუჩაძე „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბში 90-იანი წლების შუიდან გამოჩნდა, როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი გახლდათ. მაშინ გეგუჩაძე პირველი გუნდის მესამე მწვრთნელი იყო.

მაგრამ 1999 წელს „დინამო“ და ეროვნული ნაკრები იოჰან ბოსკამპს ჩააბარეს და გეგუჩაძე, როგორც მონდომებული და უნარიანი ახალგაზრდა მწვრთნელი, უფრო მკვეთრად გამოჩნდა.



მოსწავლე და მასწავლებელი: გია გეგუჩაძე და იოჰან ბოსკამპი

ერთი დეტალიც — ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ფეხბურთის ფედერაციიდან ხელფას არ იღებდა. გეგუჩაძე მაინც კმაყოფილი იყო, რადგან ბოსკამპისგან ცოდნას იძენდა და ნაკრებში, ფაქტობრივად, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. ბოსკამპმა კი თავისი თანაშემწის უხელფასობა მოგვიანებით შეიტყო და... ახლა ფედერაციის ძველი საქმიანობის განკითხვა არააქტუალურია და წერილს იმით გავაგრძელებთ, რომ ბოსკამპის საქართველოდან წასვლის შემდეგ გეგუჩაძე ცოტა ხნით „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბში დარჩა. თუმც კლუბში სიტუაცია თანდათან კიდევ უფრო აირ-დაირია, „დინამო“ თითქმის უპატრონოდ დარჩა და გეგუჩაძეც გაეცალა დიღმის მასივს.

უკვე 2000 წელი იყო და გეგუჩაძე არსად ჩანდა. მაგრამ გავიდა ორი წელიწადი და მას უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი რუსთავის „გორდა“ ჩააბარეს. თუმც გეგუჩაძემ სეზონის დამთავრებამდე დატოვა გუნდი. ცოტაც და, გეგუჩაძე „დინამოში“ ბრუნდება მესამე გუნდის მწვრთნელად, მაგრამ ბოსკამპი ურეკავს და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მუშაობას სთავაზობს. გეგუჩაძე ირჩევს ბოსკამპს და კლუბ „ელ ვასლს“ — ჩვენებური იქ ჰოლანდიელის თანაშემწედ მუშაობს, შემდეგ კლუბის ახალგაზრდულ სექტორს ხელმძღვანელობს, მაგრამ იქაურობასთან შეგუება გაუძნელდა და ისევ „დინამო 3“-ში იწყებს მუშაობას.

ამასობაში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის მერაბ ჟორდანიას ბადრი პატარკაციშვილის ფავორიტი დავით პეტრიაშვილი ეპაექრება. გეგუჩაძე პეტრიაშვილის ბანაკშია, არჩევნებში კი ჟორდანია იმარჯვებს. მაგრამ პეტრიაშვილი კვლავაც პატარკაციშვილის ჯილად რჩება და არჩევნებში მარცხიდან რამდენიმე თვეში „დინამოს“ მმართველ დირექტორად ინიშნება — ეს მიმდინარე სეზონის დაწყების წინ. მაშინ „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორიც ჰყავდა — გია ფირცხელავა; პეტრიაშვილი კლუბის ერთპიროვნული მმართველი არ გახლდათ.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ „ტირანასთან“ მარცხამდე კულუარებში უკვე ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პეტრიაშვილს ივო შუშაკის პოსტი გეგუჩაძისთვის სურს. მაშინ ეს არასერიოზულ ჭორად მიიჩნეოდა, მაგრამ ამაზე მაინც ფუსფუსებდნენ. „ტირანასთან“ მარცხის შემდეგ კი ფირცხალავა „დინამოს“ ჩამოაშორეს და ასპარეზი პეტრიაშვილს დარჩა.

მალე პეტრიაშვილი „დინამოს“ ფეხბურთელებს ათასდოლარიან პრემიას ას დოლარამდე უმცირებს. მოთამაშეები ლამის ბუნტს აწყობენ. პეტრიაშვილს სურს, რომ „დინამო 2“-ის ფეხბურთელები ათამაშოს პირველ გუნდში პრემიებჩამოჭრილი, უკმაყოფილო ფეხბურთელების ნაცვლად. კონფლიქტი მწვავდება, მაგრამ მალევე ცხრება — „დინამო“ იმავე ფეხბურთელებით აგრძელებს თამაშს, ხოლო „დინამო 2“-ის მწვრთნელი გეგუჩაძე რომ მალე პირველ გუნდში ამოჰყოფს თავს, უკვე ყველას სჯერა. პრემიებმოჭრილი შუშაკის გუნდი კი პირველ ეტაპს პირველი ადგილით ამთავრებს, ხოლო თანამეგობრობის ტურნირიდან თასით ბრუნდება.



ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის კი „დინამოს“ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი ტოვებს, გუნდი ულაზათოდ თამაშობს, ექვს ტურში მხოლოდ ერთ მატჩს იგებს და პირველიდან მესამე ადგილზე ჩადის. გეგუჩაძის „დინამო 2“ კი პირველ ლიგაში მართლაც და ბდღვნის ყველაფერს, 8:0, 11:2 — ასეთი ანგარიშით ტკეპნის მოწინააღმდეგეებს და პეტრიაშვილის ვერდიქტიც არ აყოვნებს — გეგუჩაძე შუშაკის ნაცვლად.

გეგუჩაძე ბოსკამპისტად ითვლება და იქნებ „დინამომ“ მართლაც შეიძინოს მკვეთრად თავისებური ხელწერა, რაც შუშაკის ხელში არ ჰქონია — ბოსკამპს რისკიანი, ავანტიურისტული ფეხბურთი უყვარს...

**დავით თავართქილაძე**

## ამხანაგური მატჩები

რუსეთი (II) 1:1 გერმანია (II)

ახალგაზრდულები (U-21)

დანია 2:2 შოტლანდია

ბელგია 2:0 თურქეთი

საბერძნეთი 2:1 გერმანია

ყაზახეთი 2:0 აზერბაიჯანი

ჩრდ. ირლანდია 0:0 სერბეთი

იტალია 4:0 შვედეთი

ბოსნია 1:3 ფინეთი

ბელარუსი 1:0 ლიტვა

პოლონეთი 2:2 ირლანდია

# საინფორმაციო თამაში

## ქირესმა ნაკრებს ზემოდან დახედა

**კობა ინასარიძე**

— ძალიან კმაყოფილი ვარ. რასაც ველოდი ამ მატჩისგან, ის მივიღე. ფეხბურთელთა შესაძლებლობები ერთხელაც შევაფასე, რაც სამომავლოდ გამომადგება. შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩემთვის მთავარი ინფორმაცია იყო — თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა.

ჟირესი სათადარიგოთა სკამს მატჩამდე დაშორდა და თამაშის საცქერლად შემაღლებულზე, ლოჟაში, ბლოკნოტ-კალამ მომარჯვებული მოკალათდა. როცა კი მისკენ თვალი გაგვექცა, იმდენი რაღაცას ინიშნავდა, ეს „რაღაც“ კი, ვეჭვობ, ბლომად მოუგროვდებოდა.

მწვრთნელი 4-4-2 ტაქტიკური სქემის მიმდევარი რომ არის, ეს თავადაც უთქვამს, მისმა ნაკრებმა გერმანიაშიც ასე ითამაშა და გუშინაც... სხვათა შორის, ახალგაზრდულმაც ასეთივე განლაგებით ითამაშა, ოღონდ, დაცვის შუაში ტყებუჩავამ ლიბერო-სტოპერი გამოიყენა. 4-4-2 ტყებუჩავასთვის პრიორიტეტული სულაც არ არის, თუმც, ეტყობა, თხოვნა გაითვალისწინა და გუნდიც ჟირესისეულად ათამაშა. ისე, ჟირესმაც და მისმა კოლეგამაც იმდენი შეცვლა გააკეთეს და ფეხბურთელები იმდენჯერ გადააადგილეს, დაწვრილებით ამის აღწერას აზრი არ აქვს. მწვრთნელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს და რა გააკეთეს, მომავალში ვნახავთ.

მატჩი კი ურიგო საცქერი არ ყოფილა. არც მაყურებლებს მოუწყენიათ, რომლებმაც „ისნის“ სტადიონის ტრიბუნა პირთამდე შეავსეს.

ჟირესმა სამივე ლეგიონერი ძირითადში დააყენა, თუმც შესვენებაზე რიგიდან წინა საღამოს ჩამოსული კორღალიძე და მენთეშაშვილი შეცვალა. ვერ ვიტყვით, რომ მწვრთნელისთვის 45 წუთი საკმარისი იყო ამ ფეხბურთელების შესაფასებლად, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ სკონტოელებს თამაში არ გამოსვლიათ. პირველ ტაიმში ვინმე თუ მოძრაობდა, აქტიურობდა და ამწვავებდა, ერთ-ერთი მენთეშაშვილიც იყო. სხვა საქმეა, ლეგიონერის პირობაზე მათ ჟირესზე როგორი შთაბეჭდილება დატოვეს. მესამე ლეგიონერს, დიდავას კი მწვრთნელმა თავიდან ბოლომდე აცალა. ის ჟირესმა მარჯვენა მცველად გამოიყენა, რაც დიდავასთვის უცხო პოზიციად არ უნდა ჩავთვალოთ. „ქოჯაელის“ ქართველს პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიას“ ჰავბეკმა მარცვალაძემ პრობლემები შეუქმნა და ერთი-ორჯერ შესვენების შემდეგაც შეაწუხა. დიდავას ერთ დროს ეროვნულში რეგულარულად ეძახდნენ, ჟირესის ხელში კი პირველად ითამაშა. მწვრთნელსაც გამოცდილი ფეხბურთელის საქმეში ნახვა ალბათ სხვებზე მეტად უფრო აინტერესებდა.

დინამოელები, კვირკველია, შაშიაშვილი და ახალაია მწვრთნელმა მენთეშაშვილ-კორღალიძესთან ერთად შეცვალა. მათზე ჟირესს ინფორმაცია საკმაოდ აქვს და მათი ზედმეტად დატვირთვა, ვფიქრობთ, საჭიროდ აღარ ჩათვალა, მით უმეტეს, ბაბუნაშვილი, კვარაცხელია და გოცირიძეც გამოსაცდელი ჰყავდა. ჟირესმა, შეიძლება ითქვას, მისი ჯილა — გონჩაროვიც ბოლომდე ათამაშა და ჩანდა, არ გაწბილებულა. ჩემპიონატის ბოლნისელი ბომბარდირი რომ ალმავლობის გზაზეა, ეს გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა, თუმც ისიც საკითხავია, გონჩაროვი ნაკრებში ნაცად არველაძეს, იაშვილს, დემეტრაძეს და აშვეთიას კონკურენციას რა დონით გაუწევს. ჯერჯერობით კი ჟირესი ამ თავდამსხმელის თამაშით კმაყოფილია. გონჩაროვს არც გუშინ დაუტოვებია მოედანი უგოლოდ, ახალაიას დაწყებული მან გააგრძელა და დინამოელ თოთლაძესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი კუთხეში შააგორა. გოლამდე კი მარცვალაძემ დაურტყა ნაკრებში დაბრუნებულ დევაძეს, საკმაოდ ძნელი მოსაგერიებელი ბურთი მეკარემ ჯერ გვერდით გადააგდო და წამშივე დაეუფლა კიდეც. დევაძეს მეტი საქმე არც ჰქონია და თუ ჰქონდა, უშეცდომოდ თამაშობდა. ჟირესს თავისი აზრი არც ამ ფეხბურთელზე გამოუთქვამს და საერთოდაც, პრესკონფერენციაზე არც ერთი გვარი არ დაუსახელებია. მომავალი გვიჩვენებს, ჟირესს ვინ მოეწონა, ვინ არა.

ახალგაზრდული ნაკრები კი შარშანდელს აქეთ მნიშვნელოვნადაა გადახალისებული. ზოგმა 21 წელს გადააბიჯა, ზოგმაც, როგორც ხდება ხოლმე, ახალგაზრდულში ერთი თამაშის შემდეგ თავი ვარსკვლავად წარმოიდგინა და სადღაც დაიკარგა. ტყებუჩავას გამოძახებული ბიჭებიდან თითქმის ყველას დებიუტი ჰქონდა ახალგაზრდულ ნაკრებში და ჩანს, ამ ფეხბურთელებისგან ურიგო გუნდი არ უნდა გამოვიდეს, მით უმეტეს, მწვრთნელად იოჰან ბოსკამპს თუ დაუნიშნავენ. რაც შეეხება გოჩა ტყებუჩავას, ვერ გეტყვით, როდემდე უნდა იყოს ეროვნულისა თუ ახალგაზრდულის დროებითი მწვრთნელი... მას ნამატჩევს ალენ ჟირესმა შეხვედრა სთხოვა, ალბათ, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად. პრესკონფერენციაზე ეროვნულის მწვრთნელმა ისე ილაპარაკა, რომ ახალგაზრდულში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელის გვარი ნაღდად თავის ბლოკნოტში ჩაიწერა.



**ამხანაგური მატჩი**

თბილისი. 27 აპრილი. 18 საათი. ისანი. 3 00 (ტევადობა 3 000)

**საქართველო 1:0 საქართველო U21**

1:0 გონჩაროვი (32)

1 დევაძე

**მწვრთნელი** ალენ ჟირესი

4 დიდავა · 3 შაშიაშვილი · 2 ჰიჭვეიშვილი · 5 კვირკველია

8 დილმელაშვილი

9 კორღალიძე · 7 გოგობერიშვილი

10 მენთეშაშვილი

15 გონჩაროვი · 6 ახალაია

11 ს. იაშვილი · 9 ფიფია

10 ხოჯავა

8 მარცვალაძე · 7 ჯიქია · 6 ალადაშვილი

5 ელიავა · 4 იმედაშვილი · 2 ლ. ჭელიძე

3 ა. კალაძე

**მწვრთნელი** გოჩა ტყებუჩავა

1 თოთლაძე

შეცვლა: კვირკველია – 16. ბაბუნაშვილი (46), შაშიაშვილი – 14. გ. კვარაცხელია (46), კორღალიძე – 11. აფციაური (46), მენთეშაშვილი – 17. ბურდული (46), ახალაია – 13. რ. გოცირიძე (46), დევაძე – 12. მერლანი (46), თოთლაძე – 12. ი. ბალაძე (46), ფიფია – 17. ებანოიძე (46), ჭელიძე – 14. დონდოლაძე (60), ალადაშვილი – 16. გ. ჩხეტიანი (68), იაშვილი – 18. მალანია (68), მარცვალაძე – 15. რაზმაძე (76), ჯიქია – 13. კუპრეიშვილი (78)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. კვარაცხელია, გ. ვადაჭკორია; ლ. სილაგავა

მატჩის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

— საინტერესო ბიჭები არიან ახალგაზრდულ ნაკრებში. დღეს ორივე გუნდს ჩემი გუნდივით ვაკვირდებოდი. მოხარული ვარ, რომ ფეხბურთელები ამ მატჩს პროფესიონალურად მიუდგნენ და მონდომებით ითამაშეს. სხვა საქმეა, მათმა მონდომებამ როგორი შედეგი გამოიღო. ზოგი ნერვიულობდა, შებოჭილი თამაშობდა და ამის გამო იქნებ შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინა. თუმც მაინც კმაყოფილი დავრჩი — თქვა პრესკონფერენციაზე ალენ ჟირესმა — ბიჭებმა დავალება გაიგეს, ისინი მიხვდნენ, თუ რაში მჭირდებოდა ასეთი მატჩის გამართვა. ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილება ყველა ფეხბურთელს არ შეუძლია. ნუ ჩავთვლით, რომ ამ თამაშით სელექცია დავამთავრე, მომავალში, ვინც დაიმსახურებს, ყველას გამოვცდით, ნაკრების კარი მათთვის ღიაა. მეწყინა, რომ „დინამოდან“ ჩემი კოლეგა ივო შუშაკი გაათავისუფლეს. რას იზამ, ასეთია მწვრთნელის ბედი. მუდმივად ერთ კლუბში ვერ იქნები. მე კი „დინამოში“ არ ვიმუშავებ. მიმაჩნია, რომ ორ საქმეს ერთდროულად ვერ გააკეთებ, ან ერთს ავნებ, ან მეორეს.

და კიდევ: ალენ ჟირესის თქმით, ეროვნულ გუნდს მაისში მეტოქედ აუცილებლად რომელიმე ქვეყნის ნაკრები ეყოლება. კერძოდ, ვინ — ჯერ უცნობია, თუმც მატჩის გამართვაზე ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობსო, დაასრულა პრესკონფერენცია ალენ ჟირესმა.



პატარები დიდების კართან: დავით იმედაშვილს (№4) ალეკო გოგობერიშვილმა წამით დაასწრო



რევაზ გოცირიძემ ბურთი ხარიხას გაარტყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გუშინდელ სახელდახელო ეროვნულ გუნდში სამი ლეგიონერი თამაშობდა, ამათგან ორი სკონტოელი იყო. ლევან კორღალიძემ და ზურაბ მენთეშაშვილმა ძირითადში დაიწყეს თამაში, თუმც ორივეს აკლდა ჩვეული მონდომება, რაც იოლი ასახსნელია — მენთეშაშვილი და კორღალიძე წინა დღეს ჩამოფრინდნენ რიგიდან და, ფაქტობრივად, უვარჯიშებელნი გავიდნენ მოედანზე. ასეთ პირობებში მეტის გაკეთებას ნაღდად ვერ შევძლებდითო, გვითხრეს ლევანმა და ზურაბმა მატჩის შემდეგ...*



ბადრი კვიციანის ფოტო

# სადილი თამაშით

## სახელდახელო ინტერვიუ სახელდახელო ნაკრების სახელდახელო მატჩზე

**ლევან კორღალიძე:** წესით, სანაკრებო გამოძახებას შეკრება თუ არა, ერთიორი ვარჯიში მაინც უნდა მოჰყვეს, ჩვენ კი სასტუმროში ვისადილეთ და პირდაპირ სათამაშოდ გავედით.

— ასეთ ვითარებაში რამდენად სასარგებლო იყო ეს მატჩი?

— პირადად ჩემთვის სარგებელი ნამდვილად არ მოუცია, თუმც ვფიქრობ, სანაკრებო თვალსაზრისით მაინც საჭირო იყო, რადგან ალენ ჟირესს ნაკრების კანდიდატებზე დაკვირვების საშუალება ჰქონდა.

— გეტყობა, შენი თამაშით უკმაყოფილო ხარ...

— ჰო, მობილიზებული არ ვიყავი, თანაც ერთ ეპიზოდში პადკატი გავაკეთე და მუხლი მეტკინა, მაშინვე ვითხოვე შეცვლა, მაგრამ ცოტა ხანს გაუძელიო, მითხრეს. ეს რომ არა, ორივე ტაიმი უნდა მეთამაშა.

— ჟირესზე რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ჩანს, კეთილშობილი, გულღია კაცია. გვაგრძნობინა, რომ მზადაა ყველასთან თბილი დამოკიდებულება ჰქონდეს.

— მატჩის წინ რაიმე განსაკუთრებული თუ გითხრათ ჟირესმა?

— არა, თითქმის არაფერი უთქვამს.

— შენ ეროვნულ ნაკრებში მერაბ ჟორდანიას მწვრთნელობისას გქონდა დებიუტი. გვახსოვს, მაშინ ემოციურად შეხვდი ნაკრებში გამოძახებას, ახლაც იგივე შეგრძნება გქონდა?

— არა, და ალბათ იმიტომ, რომ ეს არ ყოფილა ნაღდი ნაკრები. თუმც ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო თბილისში ჩამოსვლა, რაკილა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს და მის ინტერესებში მეც მოვხვდი. იმედი მაქვს, ჟირესი ნაღდ ნაკრებშიც დამიძახებს.

**ზურაბ მენთეშაშვილი:** ნაკრების კანდიდატების რაოდენობა იზრდება და ეს კარგია. ასეთი მატჩებიც იმისთვისაა, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელები საქმეში ნახოს. დიდი ხანია, ნაკრებში არ ვყოფილვარ და მესიამოვნა, როდესაც რამდენიმე ახალი სახე ვნახე.

— „ალანიადან“ „სკონტოში“ დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი ხომ არ იყო?

— პირიქით, მე დავბრუნდი იმ კლუბში, რომელმაც ძალიან ბევრი მომცა. ამიტომაც ახლა მონდომებით ვცდილობ, „სკონტოს“ დავუმტკიცო, რომ არ შემცდარა.

— ლატვია მაინც არასაფეხბურთო ქვეყანაა, იქნებ სჯობდა, რუსეთში დარჩენილიყავი?

— ახლა მიწვევაც რომ მივიღო, რუსეთში გადასვლაზე სერიოზულად დავფიქრდები. ამ ქვეყანაში სათამაშოდ გულიც აღარ მიმიწევს. „სკონტოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და ვნახოთ, ეგებ ამ პერიოდში უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდეს. მით უმეტეს, ლატვიის ნაკრების ევრო 2004-ზე მოხვედრის მერე ამ ქვეყნის ჩემპიონატისადმი ინტერესს წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიც იჩენენ.

— ნაკრებში გამოძახება მოულოდნელი იყო?

— მოულოდნელი კი იყო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებმა ლეგიონერების გარეშე და, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა, მაინც გამიხარდა, სანაკრებო ატმოსფერო რომ გავიხსენე და მწვრთნელიც გავიცანი.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა ჟირესზე?

— ასე მცირე დროში დასკვნების გაკეთება ძნელია. თუმცა ის კი ცხადია, რომ ჟირესი ძალიან უბრალო და კარგი ადამიანია.



ბადრი კვიციანის ფოტო

**პაატა ძვანტალიანი**
**დავით ერაძე**

*საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრაზე რუსულმა „სატურნმა“ მწვრთნელ-სელექციონერი და მთავარი მწვრთნელის, ბორის იგნატიევის მარჯვენა ხელი ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲙᲝᲡᲢᲘᲚᲔᲕᲘ მოავლინა. ის გამალებით ინიშნავდა საინტერესო მოთამაშეებს, მათ მონაცემებს და შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენთან საუბარიც არ დაიზარა*

# უცხოპლანეტელი არ ვარ

## ხელმისაწვდომი ქართველები სატურნის ბლოკნოტში

ბევრი საინტერესო ჩაინიშნეთ თუ იმედგაცრუებული დარჩით?

— იმედგაცრუებული ნამდვილად არ ვარ. აქ კონკრეტული მიზნით ჩამოვედი, თუმცა ეს ჩემი პროფესიული საიდუმლოა. თანაც ქართული საფეხბურთო ბაზარი რუსეთისთვის ყოველთვის საინტერესო და ხელმისაწვდომი იყო.

— მაშინ ასე ვთქვათ: თქვენ ვიტჯორჯიელი დავით იმედაშვილი გაინტერესებთ. ხომ ასეა?

— დიახ, იმედაშვილით მართლაც დავინტერესდით, თუმც დღეს სხვა ფეხბურთელებიც ჩავინიშნე. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— „სატურნს“ რომელ რგოლში სჭირდება გაძლიერება?

— სატურნირო მდგომარეობას და თამაშის ხარისხს თუ გავითვალისწინებთ, უფრო მეტად შემტევ ფეხბურთელს ვეძებთ, ასეთები კი საქართველოში ყოველთვის მრავლად იყვნენ.



— ესენგეს თასის შემდეგ რუსულმა კლუბებმა თბილისის დინამოელები გადაიბირეს. თქვენი კლუბი რატომ არ აქტიურობდა?

— მაშინ კლუბში სხვა ხალხი მუშაობდა. მე და იგნატიევი „სატურნში“ კი ვართ, მაგრამ უცხოპლანეტელები არ ვართ — კარგად ვიცით ქართველი ფეხბურთელების ძალაც და ფასიც.

— თამაშზე რას იტყვით?

— დავიწყოთ იქიდან, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო, თანაც ქართველებს შორის. ამ დროს ფეხბურთელებს მოტივაცია აკლიათ. ისე, საკმაოდ ნორმალური თამაში იყო. ეგაა, მეტოქედ არაქართული გუნდი რომ გამოგვენახათ, მაშინ გაცილებით მეტის დანახვა იქნებოდა შესაძლებელი.

— საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ხომ არ დაესწრებით?

— არა, ხვალ მოსკოვში ვბრუნდები. თუმცა მალე ალბათ ისევ ჩამოვალ და ჩემპიონატის მატჩებსაც დავესწრები.

**დავით ერაძე**



ბადრი კვიციანის ფოტო

დავით იმედაშვილს (მარჯვენივ) ახალი მუშტარი გამოუჩნდა — „სატურნი“

# სულიკოს გოლის გოლიაო

## გონჩაროვმა და გოცირიძემ იკითხონ

**ჩემპიონატის** დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და დიდი ბრძოლაა ბომბარდირობაზეც. ფავორიტი სამია: სიონელ ბორის გონჩაროვს 17 გოლი მოჰგროვებია, ვიტჯორჯიელ რევაზ გოცირიძეს და ტორპედოელ სულიკო დავითაშვილს — 16-16. გონჩაროვი ერთპიროვნულად კი ლიდერობს, მაგრამ ბომბარდირობის მასზე კარგი შანსი მაინც დავითაშვილს აქვს, რაკილა სულიკოს „ტორპედო“ ქვედა ექვსეულში თამაშობს და, რაღა თქმა უნდა, კონკურენტთაგან განსხვავებით გაცილებით სუსტი მეტოქეები ჰყავს. ამის გამოა, რომ ლაპარაკობენ, დავითაშვილმა ყველაზე მეტი რომც გაიტანოს, ბომბარდირობა არ ეკუთვნისო.

ბუნებრივია, დავინტერესდით და გუშინ პროფლიგის მესვეურებს შევეხმიანეთ, რომელთა პასუხიც ცალსახა იყო — ქვედა ექვსეულიც უმაღლესი ლიგაა და თუკი დავითაშვილს სეზონის ბოლოს ყველაზე მეტი გოლი მოუგროვდა, ბომბარდირადაც მას ვაღიარებთო.

ჰოდა, შეუბერე სულიკო...

**პაატა ძვანტალიანი**

# ბავშვებისთვის ტურნირი ხილივით სასარგებლოა

**22-26 აპრილს** გორში მოეწყო თენგიზ ბურჯანაძის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც 1991 წელს დაბადებულთა 14 გუნდი მონაწილეობდა.

სამწრიანი თამაშების შემდეგ ნახევარფინალში გორის „ორბი“, კასპის „განთიადი“, ბათუმის „ლუკა“ და თელავის „კახეთი“ გავიდნენ. ფინალის საგზურისთვის „ორბმა“ 3:0 მოუგო „განთიადს“, მეორე წყვილში კი „ლუკამ“ უგოლო ფრის შემდეგ პენალტებით 6:5 დაამარცხა „კახეთი“.

დაძაბული ფინალი საბოლოოდ მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — „ორბმა“ 3:2 სძლია „ლუკას“. მესამე ადგილისთვის მატჩში „კახეთმა“ 4:0 მოუგო „განთიადს“.

ტურნირის ორგანიზატორებმა უამრავი პრიზი დააწესეს და საუკეთესოები ძველმა დინამოელებმა ალექსანდრე ჩივაძემ, დავით გოგიამ და ვახტანგ ქორიძემ დააჯილდოვეს.

ტურნირის ჩემპიონ „ორბს“ კი თასი თენგიზ ბურჯანაძის შვილიშვილმა, პატარა თენგიზმა გადასცა.

**კახა შალამბერიძე**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

### საბერძნეთი

*ჩვენი მეტოქეთაგანი საბერძნეთი დღეს ჰოლანდიას ეთამაშება. ოტო რეჰაგელის გუნდს სერიოზული გამოცდა ელის. ბერძნები ერთობ მოტივირებულნი სტუმრობენ ჰოლანდიას, რაკილა დღევანდელი მატჩი, ფაქტობრივად, გენერალური რეპეტიციაა ევროპის ჩემპიონატისთვის, თანაც საბერძნეთს 2002 წლის ოქტომბრიდან 15 მატჩში წაგება არ უნახავს და, ბუნებრივია, ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას ეშურება.*



# სირტაკი კარგია, საქმე უკეთესი
## ბერძენო, შენ გეუბნები და, ქართველო, გაიგეო

ბერძენთა აღმავლობის სულისჩამდგმელი, რაღა თქმა უნდა, მეფე ოტოა. ბოლო ორ წელიწადში რეჰაგელმა მართლაც დიდი წარმატება მოუტანა ბერძნებს. მისი გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და უპრობლემოდ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური.

რეჰაგელის კრიტიკა საბერძნეთში ლამის სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ბერძნები ოტოს აღმერთებენ და, ბუნებრივია, ჟურნალისტებისგან დითირამბები არ აკლია. მიუხედავად ამისა, რეჰაგელი სიტყვაძუნწი კაცია, ლაპარაკს საქმე ურჩევნია და იშვიათად ესაუბრება ჟურნალისტებს. საბერძნეთში მუშაობის მანძილზე რეჰაგელს ხუთი ინტერვიუც არ მოუგროვდება. მოკლედ, რეჰაგელისგან ინტერვიუს აღება დიდ გმირობად ითვლება და, როგორც ჩანს, ძალიან გაუმართლა ერთ ჩვენს ბერძენ კოლეგას. ჰოლანდიასთან თამაშის წინ მეფემ მოწყალება გაიღო და მეფური სიტყვა თქვა:.

— საბერძნეთში რომ ჩამოვედი, პირველ რიგში ის შევნიშნე, რომ ნაკრებში გამოძახებული ლეგიონერები საქმეში ბოლომდე დახარჯვის ნაცვლად ცხოვრებით ტკბებოდნენ. ასეთ ვითარებაში წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. მაგრამ მოვედი და შეიცვალა ყველაფერი. მე შევძელი ბერძენი ფეხბურთელების მენტალიტეტის შეცვლა. მათ გაცნობისთანავე ვუთხარი: ინდივიდუალიზმი კარგი და ლამაზია, მაგრამ ჩვენ კოლექტიურ ფეხბურთს ვითამაშებთ. მათ ავუხსენი, რომ ისინი მარტო სპორტსმენები კი არა, მხატვრებიც არიან. მე თითოეული ფეხბურთელი შევადარე ტენორს, რომელიც დგას ხალხით სავსე თეატრის სცენაზე და უფლება არ აქვს, ყველაზე რთული ნოტი არ აიღოს. მას ამ დროს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია და შექმნილი ვითარება ვალდებულს ხდის, ყველაზე რთული სამუშაო შეასრულოს.

— შევეცადე, ბერძნული ფეხბურთი გამომეცოცხლებინა და ვფიქრობ, ეს შევძელი. ვიცოდი, რაზეც მივდიოდი და ვიცოდი ისიც, რომ თავიდან კრიტიკა არ ამცდებოდა. მაგრამ მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონატის საგზური და დღეს ყველა ჩემს მხარესაა. მას შემდეგ ყველაფერი ისე მიდის, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია.

— თქვენ მეკითხებით, რისი წყალობით არ წაგვიგია დღემდე.. გეტყვით, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ზედმიწევნით გაითავისეს ჩემი სტრატეგია — „კონტროლირებადი შეტევი ფეხბურთი“. ამის წყალობით ჩვენ ძალიან ცოტა გოლს ვუშვებთ და უფრო მეტი გაგვაქვს. ამიტომაცაა ძნელი ჩვენი დამარცხება. ვფიქრობ, წარმატების სანაცვლოდ დიდი ჯილდო მივიღე — ჩვენ გვერგო პატივი, ვითამაშოთ ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩში და გარწმუნებთ, იმ თამაშში ჩემი ფეხბურთელები შეუძლებელს შეძლებენ.

**ბაათა კვანტალიანი**

# ფერი ფერსა
## აზერბაიჯანი ყაზახეთში

**სანამ** ყაზახეთის ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანთან სათამაშოდ კბილებს ილესავს, ახალგაზრდა ყაზახებმა უკვე მოილიეს თავიანთი მატჩები. გუშინ და გუშინწინ ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებები აზერბაიჯანელ თანატოლებს ეთამაშნენ. უფროსებმა სუიუმაგამბეტოვისა და როდიონოვის გოლებით 2:0 მოიგეს, 19-წლამდელები კი 2:2 დაუზავდნენ მეტოქეს.

დღეს ლეონიდ პახომოვის გუნდის ჯერია. ყაზახეთის ეროვნულ ნაკრებს უკვე ორ წელზე მეტია, ვერ მოუგია და ნავსის გატეხვის დღედ 28 აპრილი დათქვეს. ვისი აჯობებს, ალმათის ცენტრალურ სტადიონზე გაირკვევა, სადაც ხალხის მოზღვავებას ელიან. ყაზახი ჟურნალისტების თქმით, ბილეთების გაყიდვა რამდენიმე დღის წინ დაიწყო და საკმაოდ სწრაფადაც გასაღდა.


ლეონიდ პახომოვი

**კახა შალამბერიძე**

*__მეკარეები:__ იური ნოვიკოვი (ირტიში), ანდრეი მორევი (ეკიბასტუზეცი);*

*__მცველები:__ იგორ ავდეევი (ჟენისი), სამატ სმაკოვი, ოლეგ მუსინი (ქაირათი), იგორ სოლომენკო (შახტიორი), ოლეგ ლოტოვი (ტობოლი), მაქსიმ სამჩენკო (აკტობე-ლენტო), ფარხადბეკ ირისმეტოვი (ირტიში);*

*__ნახევარმცველები:__ რუსლან ბალტიევი (ტორპედო-მეტალურგი, რუსეთი), ნურბოლ ჟუმასკალიევი, მაქსიმ ნიზოვცევი, დანიარ მუკანოვი (ტობოლი), ანდრეი კარპოვიჩი, იური აკსენოვი (ქაირათი), კაირატ ნურდაულეტოვი (ირტიში);*

*__თავდამსხმელები:__ ევგენი ლუნევი (ჟენისი), ვალერი გარკუშა (ტობოლი), ანდრეი ფინონჩენკო (შახტიორი), არსე ტლეხუგოვი (ქაირათი)*

# ბლოხინი და სლოვაკეთი:
# პირადი ღირსების საქმე

### უკრაინა

**სლოვაკეთთან** ამხანაგურ მატჩში დღეს უკრაინას ანდრეი შევჩენკო არ ეყოლება. „მილანმა“ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი გაგზავნა, 2 მაისს „რომასთან“ მთავარი მატჩი გვაქვს და გვსურს, შევჩენკო მხოლოდ ამ თამაშზე იყოს კონცენტრირებულიო. ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი პირადად ესაუბრა „მილანის“ ვარსკვლავს და ამის შემდეგ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს უთხრა, შევჩენკოს სკუდეტოს და ბომბარდირობის კარგი შანსი აქვს, მართალია, სანაკრებო ინტერესები უმთავრესია, მაგრამ დღეს ანდრეი „მილანს“ უფრო სჭირდებაო.


ოლეგ ბლოხინი

გუშინ გაირკვა, რომ შევჩენკოს გარდა უკრაინის ნაკრებს ზენიტელი ალექსანდრეები — სპივაკი და გორშკოვი დააკლდებიან. გორშკოვი რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში დაშავდა, სპივაკმა კი სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო — ნაკრებში თამაში არ მსურსო.

მოკლედ, ბლოხინს გეგმები გვარიანად აერია და ვაკანსიები დინამოელი მცველით სერგეი ფიოდოროვით და დნიპროელი შემტევით ალექსანდრ მელაშჩენკოთი შეავსო. ჰოდა, ისევ აზმაურდნენ უკრაინელი ჟურნალისტები, რა ამბავია, ცხრა დნიპროელი გვყავს ნაკრებშიო.

ბლოხინს გუნდი კიევში, „დინამოს“ ბაზაზე ჰყავს შეკრებილი და იქვე გამართულ პრესკონფერენციაზე ესეც თქვა:

„ვიცი, ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო კრიტიკა არ მაკლია, ამიტომაც სლოვაკეთთან მატჩი პირადად ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და ყველნაირად შევეცდებით, მოვიგოთ“.

**ბაათა კვანტალიანი**


ოლეგ ბლოხინს თავისი ზენიტელმა ალექსანდრ სპივაკმაც „შეაწია“: ნაკრებში თამაშზე უარი უთხრა

# ხოშ გელდი!
## სიხარულით გიღებთ კარს


ერსუნ იანალი

### თურქეთი

**თურქეთის** ნაკრების ახალი მწვრთნელის ერსუნ იანალის დებიუტი დღეს შედგება. ოსმალოთა 43 წლის თავკაცმა ბელგიაში გამგზავრებამდე ფედერაციასთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

იანალმა 27 ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის ცხრა ლეგიონერია. მწვრთნელს გუნდი რადიკალურად არ გადაუხალისებია, თუმც თურქეთის ჩემპიონატში მოთამაშეთა რიცხვმა ნაკრებში აშკარად იმატა. ჰაკან შუქურის, გოკდენიზ კარადენიზისა და ფათიჰ აკიელის თამაში დღეს საეჭვოა, რადგან სამივე ტრავმირებულია.

ერსუნ იანალმა კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ეს თქვა: „ეროვნული ნაკრების თავკაცობა ბევრი თურქი მწვრთნელის ოცნებაა. მე ვგრძნობ, თუ რაოდენ დიდი საქმის გაძღოლა ვიკისრე. მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მოპოვების შემდეგ გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ, ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იქნება. მსოფლიოში პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, ახალგაზრდა იქნება თუ ასაკოვანი, გამოცდილი თუ გამოუცდელი. ვინც დაიმსახურებს, ვარსკვლავ-მთვარიან ფორმას მოირგებს. ევრო 2004-ზე რომ ვერ მოვხვდით, აქედან დასკვნის გაკეთება გვმართებს. ეროვნული გუნდი მხოლოდ ჩემი და ფეხბურთელებისა კი არა, სრულიად თურქეთისაა. ამიტომ წარმატებისთვის ერთად უნდა ვიმუშაოთ“.

**რომან თურქია**

*__მეკარეები:__ რუშთუ რეჩბერი (ბარსელონა, ესპანეთი), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფი), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე);*

*__მცველები:__ ფათიჰ აკიელი, უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), ფათიჰ სონქაია (როდა, ჰოლანდია), თოლგა სეიჰანი (ტრაბზონი), ჩაღდაშ ათანი (დენიზლი), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში);*

*__ნახევარმცველები:__ გოკდენიზ კარადენიზი (ტრაბზონი), დენიზ ბარისი, სერქან ბალჩი (ორივე გენჩლერი), იბრაჰიმ ტორამანი (გაზიანთეფი), ჰასან შაში (გალათასარაი), ოკან ბურუქი, ემრე ბელოზოღლუ (ორივე ინტერი, იტალია), ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი, გერმანია), დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია);*

*__თავდამსხმელები:__ ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), ჰაქან შუქური (გალათასარაი), თუნჩაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონი), ზაფერ ბირიოლი (ქონია), მურატ ჰაჩიოღლუ (დიარბაქირი), ჰალილ ალტინტოპი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია).*



ფილიპო ინძაგის (მარჯვნივ) ოპერაცია არ ელის

# დამშვიდდი იტალია! სკაის ღამით უნდა

„მილანის“ ბანაკიდან იტალიამ დამაიმედებელი ცნობა მიიღო — ფილიპო ინძაგის საიმისო არაფერი სჭირს, ევრო-2004 რომ გამოტოვოსო.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდია ფორვარდს ფეხი სტკივა, კლუბშიც ვერ თამაშობს და ამბობდნენ, შესაძლოა, საოპერაციო შეიქნესო. საბედნიეროდ, გაირკვა, რომ ინძაგი ყოველგვარი ქირურგიის გარეშეც გამოჯანმრთელდება.

„ოპერაცია საჭირო არ არის — წერია „მილანის“ განცხადებაში — წინასწარი ვარაუდით ფილიპო ინძაგის „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში მოხვედრაში ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს“.

აღსანიშნავია, რომ 30 წლის თავდამსხმელი, რომლის ყოფნა-არყოფნის ამბავიც თურმე ძალიან აწუხებს ნაკრების მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის, მთელი მიმდინარე და უკვე დასასრულს მიახლოებული სეზონის განმავლობაში უჩიოდა ჯანმრთელობას და ფიზიკურ ფორმას. ამწუთას, „იუვენტუსის“ ყოფილი თავდამსხმელი მილანელოს ბაზაზე მარტო ვარჯიშობს და ჯანმრთელობის აღდგენასთან ერთად ფორმის აღდგენაზეც მუშაობს. გადაწყვეტით ვერ ამბობენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, მომდევნო ტურში, „რომას“ წინააღმდეგ ინძაგი სათადარიგოთა სკამზეც დასვან.

და, რადგან ეს მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, მთელი ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი ვახსენეთ, დავძინოთ, რომ იგი კვირას, შესაძლოა, შუადღიდან საღამოს ანუ ჩვენებურად ღამის თორმეტის ნახევრისთვის გადაიტანონ.

საქმე ის გახლავთ, რომ იტალიური წესების მიხედვით, 31-ე ტურიდან მოყოლებული ყველა თამაში ერთდროულად უნდა ჩატარდეს. ეს პატიოსნებისა და სამართლიანობის მიზნითაა მოგონებული, მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში ვითარება ერთობ სპეციფიკურია: „სკაი იტალიამ“ ქვეყნის საფეხბურთო ლიგას „მილან“ — „რომას“ შეხვედრის ექსკლუზიურად ჩვენება სთხოვა.

გასაგებია, რომ „მილანი“ და „რომა“ ამ იდეის საწინააღმდეგოდ არაფერს იტყვიან. თამაში მართლაც საგანგებოა, ხოლო გუნდებისთვის სულერთია მატჩი რომელ საათზე დაიწყება. სხვა საქმეა, რას იტყვის ყოველივე ამაზე „იუვენტუსი“, დართავს ამ გადატანის ნებას? ბოლოს და ბოლოს, „ბებერ ქალბატონს“ ხომ სკუდეტოს მოპოვების თეორიული შანსი ჯერ არ დაუკარგავს.

ამბობენ, რომ იტალიის საფეხბურთო ლიგა გადაწყვეტილებას დღეს მიიღებს.

**პაპუნა ძედია**

# ინტერი ისევ იძაკძაკებს

## ქუდს ნუ დაიხურავ, ალბერტო



ალბერტო ძაკერონი

„ინტერის“ მეპატრონემ მასიმო მორატიმ მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი დაამშვიდა, თანამდებობის დატოვება არ მოგიწევსო. მოგეხსენებათ, „სან სიროზე“ სულ ჭორაობენ იმის თაობაზე, რომ სეზონის ბოლოს ძაკს ქუდის დახურვა მოუწევს. იმასაც ამბობენ, მის ადგილს „ლაციოს“ თავკაცი რობერტო მანჩინი დაიკავებსო, მაგრამ აი, მილიონერმა ყველასთვის მოულოდნელად მხარი დაუჭირა შერისხულ ტაქტიკოსს.

„ამ ბოლო თამაშებით ძაკერონი აბსოლუტურად არაფერს რისკავს — განაცხადა მან სატელევიზიო ინტერვიუში — უბრალოდ ვიმედოვნებ, რომ მას ესმის თუ რა მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის მეოთხე ადგილზე გასვლა. მეოთხე ადგილით ერთი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვიგებთ, მერე, ფინანსურად დავჯილდოვდებით და პლუს ეს ყველაფერი იმიჯისთვის იქნება ძალიან კარგი“.

ამ განცხადების პარალელურად რობერტო მანჩინიმაც უარყო გაზეთებში დაჟინებით გავრცელებული ხმები, რომ იგი „ლაციოდან“ „ინტერში“ მიდის.

„ჩემი მომავლის შესახებ ერთი წელია, რას აღარ ამბობენ — განაცხადა მანჩომ — ხალხი ხან „ინტერთან“ მაკავშირებს, ხან სხვა კლუბს, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია, საფუძველი არ აქვს. ამ განცხადებასაც იმიტომ ვაკეთებ, რომ ვიგრძენი, განმარტებაა საჭირო: მე „ლაციოსთან“ 2008 წლამდე მაქვს კონტრაქტი, ეს კონტრაქტი ჩემთვის საამაყოა და მე მას პატივს ვცემ“.

**პაპუნა ძედია**

# გადაეხვევა იასა?

## მონდონიკო იგებს და მიდის

„კიევოს“ მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი „ფიორენტინას“ ჩაუდგება სათავეში, ოღონდ ერთი პირობით, „იები“ სერია A-ში უნდა ავიდნენ. მოგეხსენებათ, ტოსკანიელები ამ ასვლასთან საკმაოდ ახლოს არიან, სამომავლოდ კი დელ ნერი მონდომებიათ.

ამწუთას კი „ფიორენტინას“ ემილიანო მონდონიკო უდგას სათავეში. მან ერთი ხნის წინ ალბერტო კავასინი შეცვალა.

კი მაგრამ, თუ მონდონიკოს ასე კარგად მიჰყავს საქმე, რატომ უნდა დატოვოს თანამდებობა? ეს ბუნებრივი კითხვაა, რომელზეც ასეთი პასუხი არსებობს: მას თავად გაურბის თვალი სხვაგან.



ლუიჯი დელ ნერი

რაც შეეხებათ „იებს“, დელ ნერიზე მეტად მათ ვალტერ ნოველინოს მიწვევა სურდათ, მაგრამ ნოველინომ „სამპდორიასთან“ 2007 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. ერთი სიტყვით, ფლორენციაში ახლა ყველაზე მეტად დელ ნერის კანდიდატურას განიხილავენ, თუმცა ერთიცაა, „კიევოს“ თავკაცით, როგორც ამბობენ, „იუვენტუსიც“ არის დაინტერესებული.

და არის კიდევ ორი ვარიანტი. ერთი, რომ „ფიორენტინაში“ შესაძლოა, „ლეჩეს“ თავკაცი დელიო როსი გადავიდეს და მეორე, იგივე პოსტი შეიძლება „პალერმოს“ ყოფილმა მწვრთნელმა სილვიო ბალდინიმ დაიკავოს.

**პაპუნა ძედია**

გთავაზობთ დომინიკ ანტონიონის გმირებსა და ანტიგმირებს სერია A-ს 31-ე ტურის მიხედვით



ჯანლუიჯი ბუფონი



ფრანჩესკო ტოტი

# ესაა იუვეს ბიჭი?!

*ფრანჩესკო ტოტი (რომა)* — დღეს ფრანჩესკო ტოტის დონეზე მხოლოდ არსენალელი ტიერი ანრი თამაშობს. რომაელი აშკარად დიდი გატაცებით აკეთებს თავის საქმეს, სრულიად ჯანსაღადაა და ფანტაზიითაა ალსავსე. „ემპოლის“ კარში ორი გოლის გატანის შემდეგ მისი სეზონური მონაგარი 20-ს გაუტოლდა, რაც, დაგვეთანხმებით, ფეხბურთელისთვის, რომელიც თავდამსხმელი არ არის, მშვენიერი შედეგია.

*სედრიკ კონანი (ლეჩე)* — ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ჩატარებულ კვირის შეხვედრას არასდროს დაივიწყებს. კონანმა „დელე ალპი“ შოკში ჩააგდო, ორი გოლი შეაგდო და დიდი მეტოქის ძლევაში (4:3) ლომის წილი დაიდო. მეორე გოლი მან უბრალოდ დიდებული სლალომის შემდეგ შეაგდო.

*ანჯელო პერუცი (ლაციო)* — პერუცი 35 წლისაა, მაგრამ ასაკის მიუხედავად სერია A-ს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ რჩება. „ინტერისა“ და „ლაციოს“ შეხვედრაში (0:0) მან დაამტკიცა, რომ დიდებულ ფორმაშია. მოგეხსენებათ, ესპანეთის წინააღმდეგ პერუცი ნაკრებშიც გამოიძახეს და ამას სავსებით იმსახურებს.

*ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)* — „ლეჩესთან“ ბუფონმა ეჭვი არ არის, პროფესიული კარიერის უარესი შეხვედრა ჩაატარა. იგი ისე ცუდად თამაშობდა, ვინმესთვის რომ გეთქვათ ამ ადამიანში კლუბმა სადღაც 50 მილიონ დოლარამდე გადაიხადაო, ვერ დაიჯერებდა. ოთხი გაშვებული გოლიდან ბუფონს სულ მცირე, ორისგან უნდა ეხსნა კარი.

*ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი)* — ამ კაცის გასამართლებელი მიზეზების ძებნა უკვე შეუძლებელია. ვინ მოთვლის მერამდენე თამაში ჩაატარა ყოვლად საძაგლად. ის და მისი მეწყვილე, მარკ იულიანო „ლეჩესთან“ დამარცხებაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავენი არიან.

*კილი გონსალესი (ინტერი)* — არგენტინელი გარემარბი „ლაციოსთან“ 0:0 დასრულებულ შეხვედრაში საშინელი სანახავი იყო. ვერაფრით ჩაერთო თამაშში და კრისტიან ვიერის ერთი პასი ვერ ჩააწოდა საჯარიმო მოედანში.

**პაპუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კინო მიდის?
## ფერგი სიწმინდესაც მიადგა

**ერთი** ეს არ იყო და ახლა ესეც ატყდა: ალექს ფერგიუსონი გაბრაზებულა, როი კინი ირლანდიის ნაკრებს რატომ დაუბრუნდაო.

ორიოდ კვირის წინათ ფერგი ამბობდა, კარგი, დაუბრუნდესო, ახლა კი გაბრაზებულა. ალბათ იმიტომ, რომ სანაკრებო შეკრებაზე კინმა ტრავმა მიიღო და დღეს ამხანაგურ თამაშზე ვერ გავა პოლონეთის წინააღმდეგ.

ინგლისური მედია უკვე აცხადებს, რომ კინი „მანჩესტერში" გამჩერებელი აღარ არის და „სელტიკში" გადავა. ნამდვილი ვითარება მხოლოდ ზაფხულში გაირკვევა.

როი კინი კი იყო ერთადერთი კაცი, ვისაც ფერგიუსონი ყოველთვის აქებდა და იცავდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კარგად დაწყებული სეზონი 32 წლის კინს ტრავმებმა წაუხდინა და ამჟამად ის ეგრეც ვერ არის იდეალურ ფორმაში. ამის მიუხედავად, ის კვლავაც რჩება გუნდის კაპიტნად და გავლენიან მოთამაშედ, „ოლდ ტრეფორდისთვის" კი უსაყვარლეს გმირად.



# მუტუ ჩელსის თავზე წამოაჯდა

*ვის გინდათ ადრიან მუტუ? საწყისი ფასი 17 მილიონი გირვანქა! — ლამისაა ასე აღრიალდნენ ლონდონელები. რატომ? იმიტომ, რომ მთელი ექვსი თვის განმავლობაში ნაქებმა რუმინელმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა. პლუს, მისი ქცევა... „ჩელსის" აღმასრულებელ შეფს პიტერ კინიონს გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა მუტუს გაშვება მოსთხოვეს. ისინი თანაგუნდელის ამპარტავნობასა და ცამდე აზუებულ ცხვირს ვეღარ უძლებენ. ფეხბურთელები ამბობენ, რომ სანამ მუტუ „ჩელსიშია", ამ გუნდში ისეთი ერთსულოვნება, როგორიც ინგლისის ჩემპიონს, „არსენალს" ახასიათებს, არ იქნება.*



ადრიან მუტუს არისტოკრატობა დაუწუნეს

**შეგახსენებთ:** 25 წლის მუტუ რომან აბრამოვიჩმა ლონდონური კლუბის ყიდვიდან სულ ცოტა ხანში შეიძინა იტალიური „პარმასგან". თანხა, რომელიც მან რუმინელსა და ირლანდიელ დემიან დაფში გადაიხადა, „ჩელსის" ისტორიაში სარეკორდოა, მაგრამ ვაგლახ. ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში, „მონაკოსთან", მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ უმალ ეიდურ გუდიონსენი და ერნან კრესპო ათამაშა, ვიდრე მუტუ. ახლა ამბობენ, რომ მომავალში „ჩელსის" შემადგენლობა გაიკრიჭება და რანიერის შემცვლელი, სავარაუდოდ „პორტუს" დღევანდელი თავკაცი ჟოზე მაურინიუ უპირველეს ყოვლისა მუტუს მოიშორებს თავიდან. იმასაც ამბობენ, მუტუ იტალიაში დაბრუნდებაო.

მეორე მხრივ, „ჩელსის" ერთ-ერთი აბრამოვიჩამდელი წევრი, ჯო კოული, რუს პატრონს სთხოვს ფეხბურთელების გაყრა-გამოყრას და შემადგენლობის მორიგ ცვლას ნუ იჩქარებს. თავად კოულს, ისევე როგორც მუტუს, მარსელ დესაის, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს, კრესპოს და ხუან ვერონს, როგორც ირკვევა, აბრამოვიჩის მახვილი ელის.

კოული ამბობს: „არსენალი" ასე კარგად იმიტომ თამაშობს, რომ ფეხბურთელები წლობით ერთად არიან. ჩვენ ახალი გუნდი ვართ და ამდენად, ბუნებრივია, შეცდომებსაც ვუშვებთ, მაგრამ თუ ფეხბურთელები ერთად იქნებიან, ყველაფერი გამოსწორდება. აქ ლოგიკა მარტივია".

**პაპუნა ქედია**

# წინ წარსულისკენ!

**ფიფას** პრეზიდენტს, იოზეფ ბლატერს იდეა მოუვიდა: ფეხბურთს ფრე არ სჭირდება, ყოველ შეხვედრას გამარჯვებული უნდა ჰყავდეს!

როგორ უნდა მოხდეს ეს? ისე, როგორც საბჭოთა კავშირში ხდებოდა 1970-იანი წლების დასაწყისში — თუ მატჩს გამარჯვებული არ ჰყავდა, გუნდები პენალტებს არტყამდნენ. მაშინ, საბჭოელებმა ეს ხერხი თითქოსდა ფრეზე გარიგებების წინააღმდეგ მოიგონეს — თუმცა, ოფიციალურად, ამას ვინ იტყოდა — მაგრამ მერე გადაიფიქრეს, რადგან თუ კაცს ჩაწყობა უნდა, ფრის გარეშეც მოახერხებს: ხან ერთი მოიგებს და ხან მეორე.

და აი, ეს წესი ფიფას პრეზიდენტმა დღეს მსოფლიოს შესთავაზა: „ბანქოს ან სხვა რამეს რომ თამაშობთ, საქმე ხომ აუცილებლად ვინმეს მოგებამდე მიგყავთ? იგივე უნდა გავბედოთ ფეხბურთშიც, თამაშს გამარჯვებული სჭირდება".

**პაპუნა ქედია**



იოზეფ ბლატერი

# მე ვიბრძვი!
## აილტონი მანქანა არ არის, მომავალი ბომბარდირია

*სად დაიკარგა აილტონის საგოლე ალღო? რატომ ვეღარ გააქვს ბრაზილიელს? ფორვარდი ბოლო მატჩებში დაიჩრდილა, რაც „ვერდერის" შედეგებს მყისვე დაეტყო. ბრემენელ „მუსიკოსებს" ყველაზე მეტად სწორედ ახლა სჭირდებათ აილტონის გოლები, რათა მთელი სეზონის ნაშრომი ბუნდესსასალათით დააგვირგვინონ. „ბილდის" კორესპონდენტმა ფორვარდს „ვერდერის" ბოლოდროინდელი ნარუმატებლობის მიზეზები გამოჰკითხა. გთავაზობთ ამ მცირე ინტერვიუს*

— რა მოუვიდა ბუნდესლიგის ბომბარდირს?

— ფიზიკურ სისუსტეს ვგრძნობ, გამოვიფიტე. ჩვენ, ბრაზილიელებს, მანქანასავით მუშაობა არ გვეხერხება, მაგრამ გპირდებით, მომდევნო ტურში ამ მშრალ სერიას შევწყვეტ.

— ბოლო მატჩებში ბურთისთვის ბრძოლა გეზარებათ, თითქოს გაზარმაცდით...

— ჟურნალისტები ყველაფერს თავისებურად ხედავთ. არ გავზარმაცებულვარ, მოედანზე ძველებურად ვიბრძვი.

— მაშინ ასე გკითხავთ, „ვერდერი" კრიზისშია?

— როგორ გეკადრებათ! ახლა რატომღაც ყველამ ეს სიტყვა აიკვიატა, ის კი დაავიწყდათ, რომ ამ სეზონში 20 მატჩი მოვიგეთ.

— „ბაიერნი" წამოგეწიათ და ახლა, ალბათ სანერვიულო მოგემატებათ...

— პირადად მე არ ვღელავ. გუნდშიც სიმშვიდეა. ჩვენ ბუნდესლიგას ვლიდერობთ და არავისი გვეშინია. ჩემპიონობას ოთხი ტური გვაშორებს. ახლა ნერვიულობის დრო არ არის.

— და მაინც, „ვერდერი" თუ „ბაიერნი"?

— მიუნხენელებს აქამდეც საკმარისად უმართლებდათ. თუნდაც 2001 წელი და „ჰამბურგთან" ბოლო წუთზე გატანილი გოლი გავიხსენოთ. ამჯერად „ბაიერნზე" უკეთ ვთამაშობთ და საფეხბურთო ღმერთი თუ არ გაგვწირავს, „ვერდერი" ჩემპიონობას სამართლიანად იზეიმებს.

— კი მაგრამ, სტუმრად მიუნხენში თამაში რომ გელით?

— ეს იქნება სეზონის მთავარი მატჩი. იქ ვიომებთ.

— ხომ შეიძლება, როი მაკაიმ ბომბარდირობაში გაჯობოთ? მას თქვენამდე სამი გოლი აშორებს.

— ვერ მაჯობებს. მე ბომბარდირი გავხდები, „ვერდერი" კი — ჩემპიონი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## რუმინეთი — გერმანია

# ერთი შენ, ერთი მე

### კანს და ლემანს გერმანია გაუყვეს

გერმანელმა ფორვარდებმა დღეს რუმინელთა კარში გატანილი გოლებით უნდა უპასუხონ ოლივერ კანს, რომელმაც წინა კვირას თქვა, მაღალი კლასის მეგოლე არ გვყავსო.

საპორტუგალიო შემადგენლობის გამოცხადებამდე გერმანიის ნაკრებისთვის რუმინელებთან მატჩი ბოლო მოსამზადებელი თამაშია. რუდი ფიოლერი დღეს ფეხბურთელთა ავკარგიანობას შეაფასებს და პორტუგალიაში წამსვლელებს 24 მაისს დაასახელებს.

სტუმრებს ბუნდესლიგის ბოლო ტურმა ორი მოთამაშე დააკლო. დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი კრისტიან ვიორნსი და „ჰამბურგის" ნახევარმცველი კრისტიან რანი ბუქარესტში ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ. „ექიმთა ვარაუდით, ორ კვირაში გამოვკეთდები და პორტუგალიაში წასვლას შევძლებ — თქვა ვიორნსმა, ხოლო ფიოლერმა დასძინა—კრისტიანი ნერვიულობს, რადგან ამ სეზონში მესამედ დაშავდა".

დორტმუნდელ მცველს ბრემენელი ფრანკ ბაუმანი შეცვლის და იენს ნოვოტნისთან წყვილში დაცვის ცენტრს ჩაიბარებს.

მიხაელ ბალაკს მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ თამაშს მაინც შეძლებს. ბუნდესნაკრების მწვრთნელი შეტევაში კევინ კურანის და ფრედი ბობიჩს გაამწესებს. ბობიჩმა გაწელილი უგოლო სერია გასულ უქმეებზე „კაიზერსლაუტერნთან" მატჩში შეწყვიტა.

მიროსლავ კლოზე კი ერთი თვეა მკურნალობს, მაგრამ ჯერ ვერ მომჯობინდა, ამიტომ ფიოლერმა „კიოლნის" 18 წლის ფორვარდ ლუკას პოდოლსკის უხმო, რომელსაც ნაკრებში არასოდეს უთამაშია.

ბუქარესტში მოსალოდნელია შიდაგერმანული დუელიც. ახლა უკვე ინგლისის ჩემპიონი იენს ლემანი ორიოდ თვის წინ ოლივერ კანს აკრიტიკებდა, ნაკრების მეკარეობა ფიოლერმა მე უნდა მანდოსო. დღეს მწვრთნელი სავარაუდოდ, ორივეს თითო ტაიმს დაუთმობს და იქ გამოჩნდება მტყუან-მართალი.

„თუნდაც წავაგოთ, ძლიერი მეტოქისგან ბევრ რამეს ვისწავლით" — განაცხადა რუმინელთა თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ. მასპინძლებს ადრიან მუტუ ალბათ არ ეყოლებათ, რომელმაც ლონდონში ვარჯიშისას მუხლი იტკინა. მას ბუქარესტში ექიმი გასინჯავს და მერე იტყვის, შეძლებს თუ არა თამაშს.

ჩელსელის ადგილს ადრიან ილიე ან დანიელ ნეაგა დაიკავებენ. კიდევ ერთი ფორვარდი დანიელ პანჩუ და ნახევარმცველი ფლორინ ჩერნატი ტრავმირებულნი არიან.

ნაკრებს ათთვიანი შესვენების შემდეგ მადრიდის „ატლეტიკოს" მცველი კოზმინ კონტრა დაუბრუნდება. გამოძახებულია აგრეთვე ლისაბონის „სპორტინგის" თავდამსხმელი მარიუს ნიკულაე, რომელმაც ბოლოს ნაკრებში წელიწადნახევრის წინ ითამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ბუნდესპანდური: მიხაელ ბალაკი და რუდი ფიოლერი

## იტალია — ესპანეთი




# გენუალური ბაჯო

### ტრაპატონის სპექტაკლზე ყველა ბილეთი გაყიდულია

**მსოფლიოში** დღეს ბევრი ამხანაგური მატჩი გაიმართება, მაგრამ იტალია — ესპანეთი გამორჩეული იქნება. გენუაში ხუთწლიანი შესვენების შემდეგ „სკუადრა აძურას" მაისურას რობერტო ბოჯო მოირგებს. 37 წლის ფეხბურთელმა თავისი ნიჭით პლანეტა მოხიბლა, მაგრამ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვერგატანილი პენალტის გამო იგი იტალიაში ბევრმა აითვალწუნა.

ბაჯომ „ბრეშაში" ბრწყინვალე თამაშით მოკრიტიკენი მიაჩუმა და ჯოვანი ტრაპატონისგან მიწვევა მიიღო.

გენუის სტადიონზე ყველა ბილეთი უკვე კარგა ხნის გაყიდულია, რადგან „ცხენისკუდას" უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

მასპინძლებს დღეს რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი დააკლდებათ. ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო ნესტა, ფილიპო ინძაგი და ალესანდრო დელ პიერო ტრავმირებულნი არიან.

რობერტო ბაჯო, როგორც წესი, თავდასხმელების უკან ითამაშებს. „სკუადრა აძურას" შეტევის ხაზზე კრისტიან ვიერი და მარკო დი ვაიო ეყოლება.

ეროვნულ ნაკრებში შესაძლოა, „სამპდორიას" ნახევარმცველ აიმო დიანას დებიუტი შედგეს. ნესტას არყოფნაში ფაბიო კანავაროს მეწყვილე დაცვაში ალბათ პარმელი მატეო ფერარი იქნება.

იტალია ესპანეთს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალის შემდეგ სამჯერ შეხვდა და აპენინელებმა ერთიც ვერ მოიგეს. „სკუადრა აძურამ" პირინეელებთან ორი მატჩი ფრედ დაასრულა, ერთი კი წააგო.

ინაკი საესმა ტრავმირებული კარლეს პუიოლის ნაცვლად ვალენსიელი კარლოს მარჩენა მიიწვია, ასევე ტრავმირებული ლუის გარსიას ადგილზე კი „ბეტისის" მარჯვენა ფლანგელი ხოაკინი. საესს ფერნანდო მორენტესის გარჯაც არ გამოპარვია და „მონაკოს" თავდამსხმელს უხმო. გამორიცხული არ არის, ამ მატჩში თავდამსხმელთა ძველრეალური წყვილი, რაულ-მორიენტესი ვიხილოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია — შვედეთი

# სკოლარიმ მაურინიუს დაუთმო

### პორტუელები შვედებისგან გაათავისუფლეს

**ლუიშ ფელიპე** სკოლარის თავკაცობით პორტუგალიის ნაკრებმა ბოლო ექვსი ამხანაგური მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო და ბრაზილიელი მწვრთნელის საქმე რთულადაა.

შვედებთან შესახვედრად სკოლარიმ „პორტუს" რამდენიმე ფეხბურთელი არ გამოიძახა, რომლებსაც მომავალ კვირაში სტუმრად „დეპორტივოსთან" საპასუხო თამაში ელით. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინ ბრაზილიელი მწვრთნელი „პორტუს" უფროსობაზე ბრაზობდა, ნაკრებს თუ სჭირდება, ყველა ერთი დროშის ქვეშ უნდა დავდგეთო. ჟოზე მაურინიუს გუნდიდან დღევანდელ ამხანაგურ მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარებიან დეკო, მანიშე რიბეირუ და კარლოს ალბერტო. სკოლარიმ „პორტუს" ინტერესებიდან გამომდინარე დათმო და ლიგის ნახევარფინალისტებს არ უხმო.

სამაგიეროდ, ნაკრებში მიიწვია უგო ვიანა, ელდერ პოსტიგა და ფერნანდო მეირა. მათ შანსი ეძლევათ მწვრთნელს თავი მოაწონონ და ეგებ ევრო 2004-ზეც მოხვდნენ.

უგო ვიანა „ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, მაგრამ მისი გუნდი პრემიერლიგაშიც წარმატებით თამაშობს და უეფას თასის ნახევარფინალისტიცაა.

ფერნანდო მეირა „შტუტგარტის" ნახევარცველია და ფელიქს მაგათის შეგირდი ბუნდესლიგაში კარგი გამოსვლითაც დაიკვეხნის, რაც შეეხება ელდერ პოსტიგას, იგი შარშან ზაფხულში წაიყვანეს ლონდონში და ფაქტობრივად, „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობაში თამაში არ აღირსეს.

მიუხედავად ამისა, ლუიშ ფელიპე სკოლარი ასე ბჭობს: „ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელი ძირითად თერთმეტეულშია თუ სათადარიგოთა სკამზე. მთავრია, იგი ნაკრების ინტერესებს მოერგოს".

სკანდინაველ სტუმრებს „არსენალის" ლეგიონერი ფრედერიკ ლიუნგბერგი არ ეყოლებათ, რომელმაც „ტოტენჰემთან" შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. ნახევარმცველ მიქაელ სვენსონს ალბათ ჰერენვენელი პეტერ ჰანსონი შეცვლის, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩს შეტევაში სავარაუდოდ, „ბრედას" მეგოლე იოჰან ელმანდერი შეუწყვილდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



ზლატან იბრაჰიმოვიჩის ასა

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## უნგრეთი — ბრაზილია

## მათეუსს მოტივაცია აქვს, გარანტია არა

უნგრეთის ნაკრები ბრაზილიას ფერენც პუშკაშის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს. მადიარებს შინ კარგა ხანია, არ წაუგიათ. ერთი კვირის წინ ლოთარ მათეუსის გაწვრთნილმა უნგრელებმა იაპონიას სძლიეს, ამჯერად კი მსოფლიოს ჩემპიონებს შეხვდებიან.

ბრაზილიას ბოლო ოთხ მატჩში ერთიც არ მოუგია. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პენტაკამპეონებმა ზედიზედ სამი ფრე ითამაშეს, შემდეგ კი დუბლინში ირლანდიას ამხანაგურ მატჩში დაუზავდნენ.

1986 წელს ბუდაპეშტში გუნდები ამხანაგურად შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ მასპინძლებმა 3:0 მოიგეს.

გასული წლის დეკემბერში უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლოთარ მათეუსი დანიშნეს, რომელმაც საამმატჩოდ თქვა: „ჩემს ფეხბურთელებს მოტივაციის ძებნა არ სჭირდებათ, რადგან ისინი ბრაზილიას ეთამაშებიან. ჩვენ გვაქს გეგმა, თუ როგორ უნდა დავუხვდეთ მეტოქეს, მაგრამ გამარჯვების გარანტიას ვერავის მივცემ“.

მასპინძლებს ტრავმირებული კრისტიან ლისტეში დააკლდებათ, სტუმრებს რონალდო და რივალდო არ ეყოლებათ. კარლოს ალბერტო პარეირამ შესაძლოა, არსენალელი ედუ ათამაშოს, რომელმაც ერთი თვის წინ ინგლისის ნაკრებს თავისი სამსახური შესთავაზა. სანაკრებოდ გამოძახებულნი არიან რომაელი მანსინი, შტუტგარტელი მარსელო ბორდონი და დორტმუნდელი დედე.

კარლოს ალბერტო პარეირამ თქვა, რომ ამ მატჩში ევროპელი ლეგიონერების საქმეში ნახვა სწადია, გარდა ამისა, ბუდაპეშტში ბრაზილიელთა მწვრთნელი „კრუზეიროს“ და „სან პაულუს“ ფორვარდებს, ალექსსა და ლუის ფაბიანოსაც დააკვირდება.


რონალდოს ბუდაპეშტი ვერ ნახავს

**ვაჟა ხუციშვილი**

## მაროკო — არგენტინა

## მაროკო მსოფლიოს თასს აწონებს

**კასაბლანკაში** მაროკო არგენტინას დაუხვდება. მაროკოელებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ და მათთვის დღევანდელი თამაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

„მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ დიდი მატჩების კარგად მასპინძლობა შეგვიძლია“ — თქვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანმა.

ფიფა 15 მაისს შეიკრიბება და გადაწყვეტს, რომელი ქვეყანა უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად აფრიკაში. კანდიდატთა შორის არიან ეგვიპტე, ლიბია, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და ტუნისი. მათ შორის ყველაზე დიდი შანსი მაროკოს და სამხრეთ აფრიკას აქვთ.

კასაბლანკაში 70 ათასამდე ქომაგი შეიკრიბება თავისი ნაკრების მხარდასაჭერად, რომელიც თებერვალში აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში ტუნისთან დამარცხდა.

მასპინძელთა მწვრთნელმა ბადუ ეზიკიმ განაცხადა: „მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან შეხვედრაში დიდი გამოცდა გველის“.

კაპიტანი ნურედინ ნაიბეტი: „მაროკო აფრიკაში მეორე გუნდია და არგენტინა ამიტომ დათანხმდა ჩვენთან თამაშს“.

სტუმართა თავკაც მარსელო ბიელსას ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბრაზილიასთან ექნება და დღევანდელი ამხანაგური შეხვედრა მისთვის მნიშვნელოვანია. სამხრეთამერიკელებს ესტებან კამბიასო და „ბარსელონას“ კარში გოლის გამტანი სანტიაგო სოლარი ეყოლება, მაგრამ ანდრეს დალესანდრო და ხუან რომან რიკელმე ვერ ითამაშებენ.



სანტიაგო სოლარი

არგენტინა მაროკოს ბოლოს 1994 წლის არპილში შეხვდა და 3:1 მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური

**გიმარაეში 1:0 ბრაგა**

1:0 მატიაში (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 24 | 7 | 1 | 60:17 | 79 |
| ბენფიკა | 32 | 21 | 7 | 4 | 61:28 | 70 |
| სპორტინგი | 32 | 22 | 4 | 6 | 58:32 | 70 |
| ნასიონალი | 32 | 16 | 5 | 11 | 51:33 | 53 |
| ბრაგა | 32 | 13 | 9 | 10 | 32:37 | 48 |
| რიუ ავე | 32 | 11 | 12 | 9 | 41:33 | 45 |
| მარიტიმუ | 32 | 11 | 12 | 9 | 32:31 | 45 |
| ბოავიშტა | 32 | 11 | 11 | 10 | 30:28 | 44 |
| მორეირენსე | 32 | 11 | 10 | 11 | 30:31 | 43 |
| ლეირია | 32 | 10 | 11 | 11 | 41:45 | 41 |
| ბეირა მარი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:42 | 38 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 9 | 10 | 13 | 40:38 | 37 |
| აკადემიკა | 32 | 10 | 5 | 17 | 35:39 | 35 |
| გიმარაეში | 32 | 8 | 10 | 14 | 30:38 | 34 |
| ბელენენსეში | 32 | 8 | 10 | 14 | 34:51 | 34 |
| ალვერკა | 32 | 9 | 5 | 18 | 30:45 | 32 |
| ფერეირა | 32 | 8 | 3 | 21 | 25:49 | 27 |
| ამადორა | 32 | 4 | 5 | 23 | 21:69 | 17 |

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

**ნიურნბერგი 3:0 ალემანია**

1:0 ნიკლი (54), 2:0 სლოვაკი (71), 3:0 მინტალი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 30 | 16 | 7 | 7 | 60:36 | 55 |
| არმინია | 30 | 15 | 7 | 8 | 46:30 | 52 |
| კოტბუსი | 30 | 14 | 8 | 8 | 46:37 | 50 |
| ობერჰაუზენი | 30 | 13 | 7 | 10 | 43:41 | 46 |
| ალემანია | 30 | 13 | 7 | 10 | 46:47 | 46 |
| მაინცი | 30 | 10 | 14 | 6 | 40:33 | 44 |
| აუე | 30 | 11 | 10 | 9 | 39:34 | 43 |
| დუისბურგი | 30 | 11 | 8 | 11 | 43:40 | 41 |
| უნტერჰახინგი | 30 | 10 | 9 | 11 | 35:39 | 39 |
| ფიურტი | 30 | 9 | 11 | 10 | 49:47 | 38 |
| ტრირი | 30 | 10 | 8 | 12 | 42:48 | 38 |
| კარლსრუე | 30 | 10 | 8 | 12 | 34:40 | 38 |
| ლიუბეკი | 30 | 9 | 10 | 11 | 43:48 | 37 |
| რეგენსბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:45 | 37 |
| ალენი | 30 | 10 | 7 | 13 | 32:41 | 37 |
| ბურგჰაუზენი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:37 | 35 |
| უნიონი | 30 | 8 | 7 | 15 | 38:45 | 31 |
| ოსნაბრიუკი | 30 | 7 | 6 | 17 | 29:46 | 27 |

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVII ტური

**ლიბერეცი 3:3 სინოტი**

0:1 კადლეცი (9), 1:1 პილნი (47), 2:1 პოლაკი (51), 2:2 ივანა (59), 3:2 ჰოლოსკო (61), 3:3 სტაიჩი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 27 | 16 | 9 | 2 | 54:21 | 57 |
| სპარტა | 27 | 13 | 10 | 4 | 41:21 | 49 |
| სლავია | 27 | 14 | 7 | 6 | 38:18 | 49 |
| სიგმა | 27 | 14 | 7 | 6 | 40:22 | 49 |
| ზლინი | 27 | 12 | 5 | 10 | 30:31 | 41 |
| სინოტი | 27 | 11 | 6 | 10 | 37:35 | 39 |
| ლიბერეცი | 27 | 9 | 10 | 8 | 30:25 | 37 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 10 | 6 | 11 | 32:34 | 36 |
| ტეპლიცე | 27 | 7 | 12 | 8 | 27:29 | 33 |
| იაბლონეცი | 27 | 6 | 14 | 7 | 23:30 | 32 |
| ოპავა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:43 | 31 |
| ბრნო | 27 | 7 | 9 | 11 | 31:38 | 30 |
| პრჟიბრამი | 27 | 8 | 6 | 13 | 28:35 | 30 |
| ჟიჟკოვი | 27 | 6 | 8 | 13 | 17:29 | 26 |
| ბლშანი | 27 | 7 | 5 | 15 | 29:49 | 26 |
| პლზენი | 27 | 4 | 7 | 16 | 20:46 | 19 |

### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** პრესის ცნობით, „რომას“ ფერნანდო მორიენტესის გადაბირება სურს. ეს უკანასკნელი რომ ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია, ცნობილია — მორიენტესი ხომ ერთ ხანს, კაპელოს გაწვრთნილ „რეალში“ თამაშობდა. გაცხადდა ისიც, რომ მორიენტესის გარდა „რომას“ პატრიკ მიულერისთვისაც დაუდგამს თვალი. 27 წლის შვეიცარიელი ცენტრალური მცველი „ლიონს“ სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს დატოვებს.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ მარსელ დესაის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია უეფაში გაასაჩივრა. შეგახსენებთ, რომ დესაი „მონაკოსთან“ მატჩში ფერნანდო მორიენტესთან უხეშობისთვის დასაჯეს, ლონდონელები კი თვლიან, რომ მისი ხელი მეტოქისას შემთხვევით მოხვდა და დისკვალიფიკაციაც უსამართლოა. ხელმეორე გადაწყვეტილებას უეფა პარასკევს გამოიტანს. ასეთივე სასჯელი ელის „არისტოკრატების“ კიდევ ერთ მოთამაშეს, გერმანელ მცველ რობერტ ჰათს ალან შირერთან წესების დარღვევის გამო. თუმცა, დესაისგან განსხვავებით, თუ ჰათი სამთამაშიან დისკვალიფიკაციას მიიღებს, მხოლოდ პრემიერლიგის შეხვედრების გამოტოვება მოუწევს.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „ლიონის“ ფორვარდ სიდნეი გოვუს ევრო 2004-ზე მოხვედრის შანსი მნიშვნელოვნად შემცირდა. 24 წლის თავდამსხმელი ყველანაირად ცდილობდა ჟაკ სანტინიზე შთაბეჭდილების მოხდენას, მაგრამ აპრილის დასაწყისში „მარსელთან“ მატჩისას დაშავდა და ექიმები დღემდე ზუსტად ვერ ამბობენ, სიდნეის რამდენ ხანს მოუწევს უქმობა. შეშფოთებულია „ლიონის“ თავკაცი პოლ ლე გუენიც.

**ბრაზილიელმა** რომარიომ კარიერაში მე-900 გოლი გაიტანა. ეს გასულ კვირას, ბრაზილიის სერია A-ს მეორე ტურში, „კურიტიბასთან“ ფრედ 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში მოხდა. ამჟამად 38 წლის რომარიო „ფლუმინენსეს“ ღირსებას იცავს. საინტერესო ფაქტი კი თამაშის დასრულების შემდეგ მოხდა — „ფლუს“ ხელმძღვანელობამ რომარიოს სახსოვრად ის მაისურა აჩუქა, 900 რომ ეწერა. ბედნიერმა ფეხბურთელმა თქვა, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი გავიტანო, ჩემი მიზანი ხომ მეტოქეთა კარში 1000 ბურთის გატანაა.

**პორტუგალიური** „პორტუს“ ფორვარდი დერლეი სილვა მინდორს ხუთთვიანი უქმობის შემდეგ უბრუნდება. 29 წლის ბრაზილიელმა ფეხბურთელმა 2003 წლის დეკემბერში „ალვერკასთან“ შეხვედრაში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა თვალი ალან სმიტს დაადგა. სერ ალექსი დარწმუნებულია, რომ „ლიდსის“ ფორვარდი სეზონის ბოლოს იორკშირულ კლუბს ყველა შემთხვევაში დატოვებს. „ლიდსი“ რთული ფინანსური მდგომარეობის გამო ეგებ, მართლაც დასჯერდეს მანჩესტერელთა მიერ შეთავაზებულ 7 მილიონ გირვანქას, თუმც სმიტის გადაბირება სხვებსაც სურთ — „ნიუკასლი“, „რეინჯერსი“ და „ბირმინგემი“ ფეხბურთელს თავისკენ ექაჩებიან.

**ესპანური** „ბეტისის“ შემტევი ნახევარმცველი ხოაკინ სანჩესი ლონდონურ „ჩელსიში“ გადასვლას არ გამორიცხავს. „ვიცი, რომ „ჩელსი“ კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ინგლისში გადასვლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ გუნდის გამოცვლა მაინც მომიწევს, მირჩევნია ესპანეთში დავრჩე“ — აღნიშნა ხოაკინმა. მან ისიც დასძინა, მწყინს, იტალიასთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში რომ არ მიმიწვიესო.

**იტალიური** „მილანი“ მომავალი სეზონიდან შესაძლოა, თავდამსხმელ ბერნარდო კორადით გაძლიერდეს. ფეხბურთელის თქმით, ყველაფერი კლუბემა უნდა გაარკვიონ, მასზე არაფერია დამოკიდებული. „ზუსტად ნამდვილად არ ვიცი, გადავალ თუ არა „მილანში“. ყველაფერი „ლაციოს“ უფროსობის გადასაწყვეტია. „მილანი“ ჩინებული გუნდია, ბრწყინვალედ თამაშობს და თუ კლუბები მოილაპარაკებენ, „შავ-წითელ“ მაისურას სიამოვნებით მოვირგებ“ — აღნიშნა კორადიმ.

**ესპანურ** „ვალიადოლიდს“ სეზონის დასრულებამდე ანტონიო სანტოსი გაწვრთნის. იგი აქამდე, აწ უკვე ყოფილი თავკაცის ფერნანდო ვასკესის თანაშემწე გახლდათ. „ვალიადოლიდი“ პრიმერას ერთ-ერთი აუტსაიდერია და ლა ლიგაში დასარჩენად იბრძვის. ჩემპიონატის ბოლო ტურში, შინ, ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან, „მალიორკასთან“ წააგო 1:3 და ვასკესის პოსტიდან გადაყენებაც სწორედ ამან გამოიწვია.

# ვაი ასეთ მადლობას
## მადრიდიდან გაქცეებული ფიგუ ბარსელონაში დაპატიჟეს



*„რეალ“—„ბარსელონას“ ხმაურიანი და სკანდალური მატჩის მერე ათასი რამ ითქვა, თუმც ორივე გუნდის ქომაგები ერთში კი ეთანხმებიან ერთმანეთს — ლუიშ ფიგუს გაძევებამ „რეალი“ არია და პორტუგალიელმა უნებლიეთ მოსისხლე მტრის, „ბარსას“ გამარჯვებას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ლუიშმა ყოფილი თანაგუნდელი პუიოლი გაიმეტა, ბარსელონელი ქომაგები „რეალის“ ათიანს, თქვენ წარმოიდგინეთ, და... ემადლიერებიან კიდეც. ქვემოთ გთავაზობთ კატალონიურ „სპორტში“ გამოქვეყნებულ მესიჯებს, რომლებიც იქაურმა ინჩასებმა ფიგუს გაუგზავნეს.*

**„ფიგუ, გმადლობთ ყველაფრისთვის!“** აი, ასეთი შეტყობინება ლიდერობს „სპორტის“ შხამიან ლოზუნგთა სექციაში და ალალად თქმა ჯობს — ფიგუს ერჩივნა, ძველ ფანებს მოურიდებლად ეგინებინათ, ვიდრე ორაზროვანი ფრაზებით გული გაეხეთქათ. თუნდაც ამ პატივცემულ კატალონიელს მოვუსმინოთ: **„ფიგუ, მინდა გულში ჩაგიკრა, ყველაზე საუკეთესო ხარ. შენ მოგვაგებინე“.** გეხსომებათ, როდესაც „ბარსელონას“ მაშინდელი ლიდერი მოწინააღმდეგე ბანაკში, მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა, გაბრაზებულმა „კამპ ნოუმ“ უმალ შეუთანხმა შესაფერისი ტრანსპარატი: **„ფიგუ, შენთან შედარებით იუდა ისკარიოტელი უბრალოდ, დამწყები მოყვარული ჩანს“.** ასე რომ, საკვირაო მატჩის მერე ფიგუს მოძულენი თავს როგორ შეიკავებდნენ და ახალი ლოზუნგიც გამოცხვა: **„გმადლობთ, ფიგუ, ისევ ბარსელონელი ხარ. ახლა მადრიდელების იუდას დაგიძახებთ“.** მავანი კატალონიელი კი კარიერის დასრულების შემდეგ პორტუგალიელს ბარსელონაში საცხოვრებლად ეპატიჟება: **„ფიგუ, მადლობის მეტი რა გვეთქმის. ფეხბურთს თავს რომ დაანებებ, შეგიძლია, საცხოვრებლად ბარსელონა აირჩიო“...**

„კამპ ნოუს“ სალიტერატურო რისხვა ამით არ მთავრდება. სხვაც ბევრია ჯოჯოხეთური მესიჯი, რომლებშიც ხშირადაა ნახსენები სიტყვა „ყასაბი“, „ვერაგი“ და, რა თქმა უნდა, „მოღალატეს“ გარეშე ხომ ამ ორომტრიალს თავისებური ლაზათი მოაკლდებოდა.

თუმცა, ერთი შეტყობინებაც უნდა გაგიმხილოთ: **„თავი დაანებეთ, ავად თუ კარგად თავის საქმეს აკეთებს და არაფერში ვადანაშაულებ“.** სეუ ლუიშ, ხუმრობა ხუმრობად და ბარსელონაში ვიღაც მართლა გელით...

**ლადო ხომერიკი**

# პესეტეროები
## ელ კლასიკოს [illegible]

**ლუიშ ფიგუ** ბარსელონელთათვის იუდა და პესეტეროა, მადრიდელთათვის კი გმირი. ფიგუსნაირები კი „რეალს“ და „ბარსელონას“ სხვებიც ჰყავთ — ის ხალხი, „ელ კლასიკოში“ თეთრი მაისურითაც რომ უთამაშიათ და ლურჯ-წითლითაც.

მათზე იმდენჯერ გვითქვამს, რომ ახალს ვერაფერს დავამატებთ და ამიტომ ზედმეტი განმარტებების გარეშე გავიხსენოთ.

**ხოსეპ სამიტიერი** – ბარსელონა: 1919/32 – რეალი: 1932/34
**ბერნდ შუსტერი** – ბარსელონა: 1980/88 – რეალი: 1988/90
**მიქაელ ლაუდრუპი** – ბარსელონა: 1989/94 – რეალი: 1994/96
**გეორგე ჰაჯი** – რეალი: 1990/92 – ბარსელონა: 1994/96
**ლუის ენრიკე** – რეალი: 1991/96 – ბარსელონა: 1999/??
**რადომირ ანტიჩი** – რეალი: 1991/92 – ბარსელონა: 2003
**ალბერტ სელადესი** – ბარსელონა: 1995/99 – რეალი: 2000/??
**რონალდო** – ბარსელონა: 1996/97 – რეალი: 2002/??
**ლუიშ ფიგუ** – ბარსელონა: 1995/00 – რეალი: 2000/??


ხოსეპ სამიტიერი


ბერნდ შუსტერი


მიქაელ ლაუდრუპი


ლუის ენრიკე

# ფან-ფან-ები

MADRIDISTA


ხულიო იგლესიასი


ხოსე გარსია ასნარი


ხუან კარლოს ფერერო


ანტონიო ბანდერასი

AZULGRANA


იოანე პავლე II


ხოსე კარერასი


ალექს კორეჩა


ხორდი პუიოლი

*რა მტკიცება უნდა, რომ „რეალისა“ და „ბარსელონას“ მარადიული დავა დიდი ხანია გასცდა „ბერნაბეუსა“ და „კამპ ნოუს“. ეს კლუბები ითვლიან და ანგარიშობენ ყველაფერს, რისი დათვლაც კი შესაძლებელია და მერე ნიშნის მოგებით იძახიან, ამაში და ამაშიც გჯობნითო.*

*ასე მაგალითად, „რეალი“ და „ბარსა“ მალიმალ აქვეყნებენ თავიანთ განთქმულ გულშემატკივართა ნუსხას და ლამობენ, ვინმე სახელს რომ გაითქვამს, თავის ფან-კლუბში ჩაწერონ.*

*ამგვარ სიებში აუარება ხალხი წერია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩვენთვის უცნობები არიან და ოდენ ადგილობრივი მნიშვნელობის სელებრითები გახლავან. ხოლო იმათ, ჩვენც რომ ვიცნობთ, აქვე ჩამოგითვლით.*

*„რეალის“ განთქმული გულშემატკივრები (**MADRIDISTA**) ყოფილან ხოსე გარსია ასნარი, ვინაც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ესპანეთის პრემიერ-მინისტრი იყო. ჩოგბურთელი ხუან კარლოს ფერერო, მსახიობი ანტონიო ბანდერასი, ძველი ფეხბურთელი და ამჟამად უცნობილესი მომღერალი ხულიო იგლესიასი და სამთაგან ერთ-ერთი ტენორი პლასიდო დომინგო.*

*„ბარსას“ ქომაგები (**AZULGRANA**) კი არიან დომინგოს ძმაკაცი ხოსე კარერასი, რომის პაპი იოანე პავლე მეორე, მეჩოგნე ალექს კორეჩა და კატალონიის გენერალ-გუბერნატორი ხორდი პუიოლი, ვინაც კარლეს პუიოლის მამაა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. კონფერენსი. ფლეი-ოფი

29 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 117 | ალდერშოტი-ჰერეფორდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 23.45 | 118 | ბარნეტი-შრიუსბერი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXVI ტური

29 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 286 | გრააფსხაპი-კამბური | 1,15 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,57 |
| 23.00 | 287 | ემენი-ვენლო | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 23.00 | 288 | დორდრეხტი-აპელდორნი | 2,45 | 3,3 | 2,4 | 1,4 | 1,21 | 1,38 |
| 23.00 | 290 | იგლსი-ტელსტარი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 23.00 | 291 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 23.00 | 292 | ჰაარლემი-ეინდჰოვენი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| 23.00 | 293 | სპარტა-ექსელსიორი | 2,2 | 3,3 | 2,7 | 1,32 | 1,21 | 1,48 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 337 | ბულე-შაფჰაუზენი | 3,2 | 3,3 | 1,95 | 1,62 | 1,21 | 1,22 |
| 22.30 | 338 | კიასო-კონკორდია | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 23.30 | 339 | ანიო-ლუცერნი | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,09 |

### დანია. I დივიზიონი. XVI ტური

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 358 | ბ 93-ნიკიობინგი | 2,35 | 3,5 | 2,4 | 1,4 | 1,18 | 1,42 |

### ბრაზილია. სერია A. III ტური

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 510 | ბოტაფოგო-ატლეტიკო მნ | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 04.30 | 511 | კურიტიბა-ინტერნასიონალი | 1,8 | 3,2 | 3,3 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 04.30 | 512 | კრუზეირო-კრიკიუმა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 04.30 | 513 | პაისანდუ-ატლეტიკო პრ | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 04.30 | 514 | პონტე პრეტა-გოიასი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 05.45 | 515 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 05.45 | 516 | ფიგეირენსე-სანტოსი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 05.45 | 517 | გრემიო-კორინთიანსი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |

29 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 518 | პალმეირასი-ვიტორია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 04.30 | 519 | პარანა-ფლამენგო | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 04.30 | 520 | ვასკუ და გამა-გუარანი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

### არგენტინა. კლაუსურა. XII ტური

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 542 | როსარიო-რივერ პლეიტი | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |
| 04.00 | 543 | ხიმნასია-კილმესი | 2,15 | 3,0 | 3,2 | 1,25 | 1,28 | 1,54 |
| 04.00 | 544 | ლანუსი-ატლეტიკო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 04.00 | 545 | ჩაკარიტა-ესტუდიანტესი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 04.00 | 546 | ტალიერესი-ბანფილდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 04.40 | 547 | ბოკა ხუნიორსი-ნიუელზი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |

### ჩილე. აპერტურა. XIII ტური

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 574 | პუერტო მონტი-კოლო კოლო | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |

### საფრანგეთი. თასი. 1/2 ფინალი

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 615 | ნანტი-პსჟ | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 24.00 | 616 | შატორუ-დიჟონი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |

### ლიბერტადორესის თასი

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 618 | სან კაეტანო-ინდეპენდიენტე | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |

29 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 619 | ბარსელონა-მარაკაიბო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### ამხანაგური მატჩები

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 001 | კორეა-პარაგვაი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 002 | ისრაელი-მოლდოვა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 17.30 | 003 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 19.30 | 005 | ჩეხეთი-იაპონია | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 20.00 | 006 | ბულგარეთი-კამერუნი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.30 | 007 | ბელარუსი-ლიტვა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 008 | პოლონეთი-ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 21.00 | 009 | ესტონეთი-ალბანეთი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 21.15 | 010 | უკრაინა-სლოვაკეთი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 22.00 | 011 | რუმინეთი-გერმანია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 22.00 | 012 | ლატვია-ისლანდია | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 23.00 | 014 | ბოსნია-ფინეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 23.00 | 015 | დანია-შოტლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 016 | ნორვეგია-რუსეთი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.15 | 017 | შვეიცარია-სლოვენია | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| 23.15 | 018 | მაკედონია-ხორვატია | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 23.15 | 019 | ბელგია-თურქეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 23.30 | 020 | ავსტრია-ლუქსემბურგი | 1,03 | 8,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,06 |
| 23.30 | 021 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 23.30 | 022 | სან მარინო-ლიხტენშტაინი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.30 | 023 | უნგრეთი-ბრაზილია | 5,6 | 3,5 | 1,55 | 2,15 | 1,21 | 1,07 |
| 23.45 | 024 | ჩრდ.ირლანდია-სერბია | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 24.00 | 025 | იტალია-ესპანეთი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 01.15 | 026 | მაროკო-არგენტინა | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 01.30 | 027 | პორტუგალია-შვედეთი | 1,65 | 3,3 | 5,0 | 1,1 | 1,24 | 1,98 |
| 04.05 | 028 | ჩილე-პერუ | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 04.30 | 029 | აშშ-მექსიკა | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,23 | 1,28 | 1,57 |
| 04.30 | 030 | იამაიკა-ვენესუელა | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |

### კალათბურთი. ევროლიგა

29 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.10 | 1241 | სიენა-სკიპერი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 23.40 | 1242 | მაკაბი-ცსკა | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |

## ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5308 | პოლონეთი-ირლანდია | 1,65 | 1,95 |
| 5311 | რუმინეთი-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 5315 | დანია-შოტლანდია | 1,75 | 1,85 |
| 5316 | ნორვეგია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | შვეიცარია-სლოვენია | 1,75 | 1,85 |
| 5319 | ბელგია-თურქეთი | 1,65 | 1,95 |
| 5321 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,7 | 1,9 |
| 5323 | უნგრეთი-ბრაზილია | 1,7 | 1,9 |
| 5325 | იტალია-ესპანეთი | 1,65 | 1,95 |
| 5327 | პორტუგალია-შვედეთი | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5508 | პოლონეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | რუმინეთი-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | დანია-შოტლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ნორვეგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | შვეიცარია-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბელგია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | უნგრეთი-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | იტალია-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | პორტუგალია-შვედეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5408 | პოლონეთი-ირლანდია | 1,8 | 2,0 |
| 5411 | რუმინეთი-გერმანია | 1,9 | 1,9 |
| 5415 | დანია-შოტლანდია | 1,3 | 3,4 |
| 5416 | ნორვეგია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 5417 | შვეიცარია-სლოვენია | 1,6 | 2,4 |
| 5419 | ბელგია-თურქეთი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,3 | 3,4 |
| 5423 | უნგრეთი-ბრაზილია | 3,0 | 1,4 |
| 5425 | იტალია-ესპანეთი | 1,75 | 2,1 |
| 5427 | პორტუგალია-შვედეთი | 1,5 | 2,6 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5208 | პოლონეთი-ირლანდია | 1,75 | 1,85 |
| 5211 | რუმინეთი-გერმანია | 1,65 | 1,95 |
| 5215 | დანია-შოტლანდია | 1,8 | 1,8 |
| 5216 | ნორვეგია-რუსეთი | 1,7 | 1,9 |
| 5217 | შვეიცარია-სლოვენია | 1,8 | 1,8 |
| 5219 | ბელგია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5221 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | უნგრეთი-ბრაზილია | 1,85 | 1,75 |
| 5225 | იტალია-ესპანეთი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | პორტუგალია-შვედეთი | 1,7 | 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5008 | პოლონეთი-ირლანდია | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5011 | რუმინეთი-გერმანია | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5015 | დანია-შოტლანდია | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 5016 | ნორვეგია-რუსეთი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5017 | შვეიცარია-სლოვენია | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5019 | ბელგია-თურქეთი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5021 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 5023 | უნგრეთი-ბრაზილია | 5,6 | 2,35 | 1,85 | 1,65 | 1,39 | 1,03 |
| 5025 | იტალია-ესპანეთი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5027 | პორტუგალია-შვედეთი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18. | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5108 | პოლონეთი-ირლანდია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | რუმინეთი-გერმანია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5115 | დანია-შოტლანდია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5116 | ნორვეგია-რუსეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5117 | შვეიცარია-სლოვენია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5119 | ბელგია-თურქეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5121 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5123 | უნგრეთი-ბრაზილია | 8,5 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 5125 | იტალია-ესპანეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5127 | პორტუგალია-შვედეთი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# მსაჯი: პრობლემა


მიშა ახალაძის ფოტო

*გოჩა აბაშიძე ქართულ რაგბიში მსაჯთა კოლეგიას 20 წელი ხელმძღვანელობდა. იმავდროულად იგი რაგბის მმართველ აპარატში ბევრ ფუნქციას ასრულებდა: 1991-95 წლებში კავშირის ვიცე-პრეზიდენტიც იყო. შარშან საქართველოს ჩემპიონატის მთავარი მსაჯი გახლდათ. მსაჯობა ხომ ჩვენში გმირობის ტოლფასია, ამ უმადურ სამუშაოზე ყველა უარს ამბობს. რატომ? ამ და სხვა კითხვებზე ბატონი გოჩა გვპასუხობს*

## გოჩა აბაშიძე:
## რაგბის ყოფილი კავშირი მსაჯებისთვის თითს არ ანძრევდა

— **მსაჯობას ყველანი თავს რატომ არიდებენ?**

— ხედავენ, რომ დაუცველები არიან. ბევრმა დაიწყო, თუმცა შემდეგ შეურაცხყოფა ველარ აიტანა. ზოგჯერ თამაშზე თავის დაცვას ვერ ახერხებენ და ისე გამოდის, რომ მსაჯი რატომღაც არაფერს წარმოადგენს. ამ პროფესიის გაუფასურებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ არბიტრები გვაკლია.

— **და რატომ ვერ იცავდნენ თავს? ნუთუ არ არსებობს კავშირში სათანადო კანონი?**

— როგორ არ არსებობს. შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიკაციაა დაწესებული, თუმცა კანონი ყოველთვის არ სრულდება.

— **მომავალ ჩემპიონატშიც ასე გაგრძელდება?**

— არა, ეს ადრე იყო. ახლა ჩემპიონატში ვინც დასასჯელია, მართლა დაისჯება.

— **როცა მსაჯი არაა მართალი?**

— ზოგჯერ ასეც ხდებოდა და არც მსაჯების მიმართ ტარდებოდა სანქციები.

— **მიკერძოებას გულისხმობთ?**

— არა, ამას არ ვგულისხმობ. უბრალოდ, შეიძლება მსაჯმა კარგად ვერ დაინახოს ესა თუ ის სადავო მომენტი. დღეს ძალიან გართულდა მსაჯობა და ამიტომ საჭიროა, არბიტრებმაც სათანადოდ აიმაღლონ კვალიფიკაცია და ფიზიკური კონდიციები. და კიდევ, მათ აუცილებლად უნდა იგრძნონ ყურადღება. საერთაშორისო მატჩებზე ნაკრებთან ერთად არბიტრიც უნდა იყოს დელეგაციაში.

— **უცხოელ არბიტრებს რადიოკავშირი აქვთ ერთმანეთთან, ჩვენთანაც ასეა?**

— შარშან შევიძინეთ ასეთი აპარატები, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო.

— **ამ ჩემპიონატშიც იმსაჯებენ რადიოკონტაქტის მეშვეობით?**

— რა თქმა უნდა.

— **მსაჯები იმიტომაც ხომ არ ამბობდნენ უარს თამაშის განსჯაზე, რომ ანაზღაურება ძალიან მცირე იყო?**

— მაგასაც აქვს მნიშვნელობა. მსაჯი იღებს ჰონორარს თამაშში, თუმცა ჩემპიონატი მხოლოდ 5 თვე გრძელდება, ამიტომაც ხშირად ახალი სეზონისთვის მოუმზადებლები არიან.

— **ხელფასი არა აქვთ?**

— არა. ისინი მხოლოდ გამომუშავებაზე არიან. ჩვენ გვინდა, რაღაც ფორმით შევცვალოთ წლების განმავლობაში დანერგილი ასეთი დამოკიდებულება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ვიზრუნოთ.

— **გინდათ, თქვათ, რომ საქართველოში პროფესიონალი საერთაშორისო დონის არბიტრი არ გვყავს?**

— დიახ, არა გვყავს.

— **აბა, კავშირში ხომ ტარდებოდა სემინარები?**

— წესით სემინარები წელიწადში ორჯერ უნდა გამართულიყო, თუმცა არ ტარდებოდა. წლეულს მსაჯებმა გადავწყვიტეთ შევქმნათ ჩვენი ასოციაცია. ეს ორგანიზაცია დაიცავს მსაჯთა უფლებებსაც და სამომავლო კადრებსაც მოამზადებს. მათ დაენიშნებათ სიმბოლური ხელფასები კატეგორიების მიხედვით.

— **ამბობდნენ, რომ თქვენ ყოფილი კავშირის უკმაყოფილო იყავით, რითი?**

— პიროვნულად არავის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა საქმის მხრივ ვხედავდი, რომ მსაჯებს არანაირი წინსვლა არ ელოდათ და დაინტერესებაც არ ჰქონდათ.

— **ესე იგი, მსაჯებით არავინ ინტერესდებოდა?**

— რომ ჰკითხოთ, ინტერესდებოდნენ, თუმცა თითს არ ანძრევდნენ მათთვის.

— **ფიქრობთ, რომ ახლა გაკეთდება რამე?**

— ჩვენ ხელშეკრულება გვექნება რაგბის კავშირთან და შეთანხმების საფუძველზე ვითანამშრომლებთ.

— **რა ფორმით დაისჯება მსაჯი, თუ ტენდენციური იქნება?**

— ცხადია, შეიძლება შეცდეს, მაგრამ გპირდებით, ტენდენციური მსაჯები არ გვეყოლება.

— **კარგი, მაშინ ასე ვთქვათ, შეცდომებისთვის დაისჯება?**

— კი, როგორ არა. ალბათ დაჯარიმდება და დისკვალიფიკაციასაც მიიღებს.

— **მოთამაშე?**

— სპორტული კოდექსიდან გამომდინარე, ყველა წესს დავიცავთ.

**ნინო ლეჟავა**



# ჯომოლუნგმა რუსებს გაუჯიუტდა

**რუსეთის** მთამსვლელები, რომლებსაც ვიქტორ კოზლოვი მეთაურობს, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ჩრდილოეთიდან მანამდე დაუძლეველ კედელზე ასვლას ცდილობენ.

როგორც ვიუწყებოდით, ეს ასვლა წარმატების შემთხვევაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. რუსებმა საბაზო ბანაკიდან, რომელიც 5600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, 40 წუთის სავალზე ბერგშრუნდის (ნაპრალი თოვლიან ფერდობზე) ზემოთ აღმართულ კედელზე 18 თოკი დაკიდეს და 6900 მეტრამდე ავიდნენ.

იმ რაიონში ახლა საკმაოდ ძლიერი ყინვაა. მაგალითად, 6200 მეტრზე მინუს 15 გრადუსია, ხოლო კიდევ 600 მეტრის ზემოთ უკვე 19.

ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ევგენი ვინოგრადსკი ეკატერინბურგის ალპურ კლუბს დაუკავშირდა და აცნობა, რომ პირდაპირ მათი მარშრუტის თავზე დიდი თოვლიანი ველია, რომელიც წამოთოვის შემთხვევაში ზვავსაშიში გახდება. ამ მარშრუტზე, რომელიც პირდაპირ კედლის ცენტრში გადის, ძლიერი ქარისას თოვლის კორიანტელი დგება, ხოლო დღისით, როცა მზე კლდეს ათბობს, ქვათაცვენა იწყება.

მოსიმაღლე მებარგულებს, რომლებიც გაჯიუტდნენ და ზემოთ აღარ ადიოდნენ, ახლა ტვირთი 6200 მეტრამდე აუტანიათ. მთამსვლელები იმედოვნებენ, რომ როცა მოიერიშენი მარშრუტზე თოკებს ბოლომდე გაამზადებენ, მათი გამოყენებით მებარგულებიც ივლიან და ტვირთს უფრო ზემოთაც აზიდავენ.

მთამსვლელთა თქმით, მათ მიერ გასავლელი კედელი ახლოდან უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე იგი უნაგირადან ჩანდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



*ოლიმპიურ ლიცენზიათა სრული კომპლექტის მომგებ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში დასაზუსტებელი ორი წონაღა დარჩა. 81 კილოგრამსა და მძიმე წონებში ათენში წამსვლელებზე შოთა ხაბარელი ჯერ კიდევ ფიქრობს. თბილისის საერთაშორისო ტურნირის დასრულების შემდეგ თქვა, გადაწყვეტილებას ბორჯომის თვრამეტდღიანი შეკრების შემდეგ მივიღებო, თუმც შეკრება მორჩა, საბოლოო პასუხმა კი კიდევ გადაიწია.*

*ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა თბილისში ორიოდ დღის წინ დაბრუნდა და რამდენიმე დღეში ისევ ბორჯომს მიაშურებს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. რუმინულ ტურნირსა და საერთოდ, წინასაოლიმპიადო სამზადისზე ხაბარელს გავესაუბრეთ*

# არ ვიმალებით
## ხაბარელი რაზმს აყალიბებს



— **კმაყოფილი დარჩით შეკრებით?**

— ბორჯომში ორმოცი სპორტსმენი წავიყვანეთ. თითო წონაში 3-4, ზოგში 5 სპარინგიც მოგროვდა, რამაც კონკურენცია ძალიან გაზარდა.

— **ყველა ლიცენზიიანი დაიტვირთა?**

— ყველამ სრული დატვირთვით ივარჯიშა და საბედნიეროდ, არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. ასე რომ, საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა.

— **კონკრეტულად რაში მოემზადეთ?**

— ფიზიკურ და ტექნიკურ ვარჯიშებს დაახლოებით თანაბარი დრო დავუთმეთ. ახლა 3-4 დღე შევისვენებთ და ისევ ბორჯომში დავბრუნდებით. იმ შეკრებაზე კი უკვე მხოლოდ ტექნიკაზე ვიმუშავებთ.

— **თბილისური ტურნირის შემდეგ დაგვპირდით, რომ ევროპაზე წამსვლელებს ბორჯომის შეკრების დასრულებისთანავე გაგვაცნობდით.**

— სიამოვნებით. რუმინეთში საბრძოლო შემადგენლობით ჩავალთ. ერთადერთი, შეიძლება ზვიადაური დავასვენო.

— **განსაკუთრებით საინტერესო 81 კილოგრამი და მძიმე წონებია...**

— ევროპის ჩემპიონატზე გრიგოლ მამრიკიშვილს და ლაშა გუჯეჯიანს გამოვიყვან. ეს უკვე გადაწყვეტილია.

— **მაშასადამე, ოლიმპიადაზეც ისინი წავლენ?**

— ამას ვერ ვიტყვი. წინ კიდევ საკმაო დროა და საბოლოო პასუხისგან ჯერ თავს შევიკავებ. ევროპის შემდეგ კიდევ ერთი ტურნირია, მაისის ბოლოს იტალიაში და ამ ორი წონის საკითხიც დაახლოებით იმ დროს გადაწყდება.

— **უპირატესობა მაინც მამრიკიშვილს და გუჯეჯიანს აქვთ?**

— ამ ეტაპზე ასეა, თუმც მათ ჯერ კიდევ უნდა იმუშაონ.

— **ზვიადაურს რატომღა ასვენებთ?**

— ზურა მშვენიერ ფორმაშია და აღარ დავტვირთავთ. მისთვისაც და საერთოდ საქმისთვისაც ასე აჯობებს. შეიძლება, შემდეგ, იტალიაში ვაჭიდავო.

— **ევროპაზე მის ადგილს ვინ დაიჭერს?**

— მინდია ბოდაველი.

— **ოლიმპიადამდე ოთხი თვეც აღარ რჩება. ევროპის ჩემპიონატზე ბიჭებს ხომ არ მოსთხოვთ, რომ ზედმეტი დატვირთვისგან თავი შეიკავონ?**

— რუმინეთის ტურნირი ათენისთვის მზადების საწყისი შეჯიბრია. მათ შორის სხვაობა სამი თვეა და გადაღლაზე საუბარიც გადამეტებული იქნება. არც ჭიდაობის „დამალვას" მოვთხოვთ. ახალბედები არ არიან, უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ და ვისაც მათი ჭიდაობა აინტერესებდა, აქამდეც შეისწავლიდა. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატზე თითოეულ მათგანს მოვთხოვ, მაქსიმალურად დაიხარჯოს.

— **მეორე ბორჯომული შეკრება ევროპის ჩემპიონატამდე გასტანს?**

— ბუქარესტში 13 მაისს გავემგზავრებით. ბორჯომიდან კი წინა დღეებში დავბრუნდებით.

— **ნაკრების რამდენიმე წამყვანი ძიუდოისტი უცხოურ კლუბებში გამოდის. ეს ხომ არ შეგიშლით ხელს?**

— ბიჭები საკლუბო ტურნირებზე ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წავლენ, მერე კი ისევ ერთად გავაგრძელებთ ათენისთვის მზადებას.

— **მოსამზადებელი გეგმაც უკვე შედგენილი გექნებათ.**

— გეგმა კარგა ხანია, დამტკიცებულია. იტალიური ტურნირის დასრულებიდან ერთ კვირაში გუნდი საბაზო მზადებაზე გადავა და დაახლოებით ერთკვირიანი ინტერვალებით ბაკურიანსა და ბორჯომში რამდენიმე შეკრებას გაივლის. შეიძლება, ბოლოს ბორჯომი რომელიმე ზღვისპირა კურორტით შევცვალოთ, თუმც ჯერჯერობით ამ საკითხზე კიდევ ვფიქრობთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გრიგოლ მამრიკიშვილი ნაკრებში ადგილს იმკვიდრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### პლეი ოფი   პირველი წრე. ორ მოგებამდე

# სოხუმელებს ცოტა ჰყოფნით სიხარულისთვის

**დინამო 2:0 სსუ**

27 აპრილი. ვერის ბაღი

**დინამო 92:64 სსუ**

20:13, 20:21, 27:13, 25:17

დინამო: ყლენტი (5), ი. ხოშტარია (8), კეიდია (14), კილაძე (7), მუშკუდიანი (11); მინაშვილი (14), ლოსაბერიძე (13), ბეჟანიშვილი (7), აბულაძე (6), გამყრელიძე (7), ჩუბინიძე

სსუ: პატარაია (5), ფარღალავა (11), კანკია (4), ონიკაშვილი (4), ქვილითაია (9); მიქაბერიძე (8), ლუკავა (10), დოლიძე (7), მ. ხოშტარია (6), გოლეთიანი, კორძაძე

მსაჯები: ლიკა ქავჯაია, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი



არჩილ ყლენტის „დინამომ" მეოთხედფინალი ვაიუშველებელის გარეშე გაიარა

„დინამომ" უდრტვინველად, ზედმეტი ოფლის ღვრის გარეშე დაძლია სოხუმური ბარიერი და პირველი მაისიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან გააჩაღებს შედარებით საინტერესო საპლეიოფო სერიას.

საკუთრივ სსუ-სთან მოგებული სერია კი სანახავად ვერ ვარგოდა, შედეგი წინდაწინ იყო ცნობილი და ტრიბუნებზე აღმოჩენილ თითო-ოროლა მაყურებელს განსაუთრებული მღელვარება არ გამოუმჟღავნებია.

„დინამოსთან" უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ სოხუმელებს თითოეული ლამაზად შესრულებული ილეთი ახარებდათ, რაკი კარგად იცოდნენ, რომ განწირულები იყვნენ და ასე ნამცეც-ნამცეც აგროვებდნენ სიხარულს. ჰოდა, როცა სსუ-ელი რამეს მოხდენილად გააკეთებდა, ან მეტოქეს აჯობებდა, სოხუმელთა სათადარიგო სკამი ქათინაურებად იღვრებოდა.

სსუ თავს ამაყად მეორე მეოთხედში გრძნობდა, როცა 13:20 წაგებული საწყისი ათწუთეულის შემდეგ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა (22:22), ტაიმი კი სულ რაღაც 6 ქულით დათმო.

შესვენების შემდეგ თამაში „დინამოს" შეკვეთილ კალაპოტში ჩადგა. ბრაიკოვიჩის ბიჭებმა ცოტა მოინდომეს და მეტოქე გაანადგურეს.

**ირაკლი პერტაია**

### ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| 1 მაისი | |
| დინამო — თსუ | 15.00 |
| 2 მაისი | |
| ბასკო — სტუ | 16.00 |
| 3 მაისი | |
| თსუ — დინამო | 15.00 |
| 4 მაისი | |
| სტუ — ბასკო | 16.00 |
| 5 მაისი | |
| დინამო — თსუ | 15.00 |
| (თუ საჭირო გახდა) | |
| 6 მაისი | |
| ბასკო — სტუ | 16.00 |
| (თუ საჭირო გახდა) | |

### მე-5 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 1 მაისი | |
| მაკაბი — სსუ | 17.00 |
| 3 მაისი | |
| სსუ — მაკაბი | 17.00 |
| 5 მაისი | |
| მაკაბი — სსუ | 17.00 |
| (თუ საჭირო გახდა) | |

# ნაკრებს კაპიტანი დაუშავდა
## ნაცვლიშვილს ფილტვი გაუხეთქეს



**ეროვნული** ნაკრების კანდიდატებს ბედი არ სწყალობთ — ვლადიმერ სტეფანიასა და მანუჩარ მარკოიშვილის დარად საფრანგეთში მოთამაშე ვახტანგ ნაცვლიშვილიც მძიმედ დაშავდა.

ვატოს ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ახლა საავადმყოფოში წევს და მისთვის სეზონი დასრულებულია. ნაცვლიშვილს საფრანგეთის ჩემპიონატის წინა ტურის მატჩში თითქოს უმნიშვნელოდ მოარტყეს ფერდში იდაყვი, თუმც შემდეგ აღმოჩნდა, რომ „დიჟონის" ქართველ ფორვარდს ფილტვი ჰქონია გახეთქილი და საქმე გამხდარა.

„თითქოს სერიოზული ტრავმა არ იყო, სათამაშო ეპიზოდში ვატოს ხელი მოხვდა ფერდში, თამაშიც ჩვეულებრივ ჩაამთავრა, მაგრამ შემდეგ გასახდელში ცუდად გახდა, სუნთქვა შეეკრა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს" — გვითხრა ნაცვლიშვილის მეუღლემ ნინო ცქიტიშვილმა საფრანგეთიდან.

საშიში აღარაფერია, ეგაა, ფილტვის კედლის აღდგენას და შემდგომ რეაბილიტაციას მინიმუმ 5 თვე დასჭირდებაო, უთქვამთ ექიმებს. არადა, სწორედ ვატოს მეოხებით გავიდა „დიჟონი" პლეი ოფში და უმისოდ დარჩენილმა რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში აუტსაიდერთან წაგებაც „მოასწრო".

საკითხავი ახლა ისაა, აღიდგენს თუ არა ნაცვლიშვილი ფორმას სექტემბრისთვის, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეტად პრინციპული მატჩები ექნება ევრო 2007-ის საკვალიფიკაციო ტურნირზე.

**ირაკლი პერტაია**

# ვარსკვლავები ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი", რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამქულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ქალი, ვაჟი, ვეტერანი"
— „ვარსკვლავთა მატჩი"

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი", „ოლიმპი" და „მთავარი გაზეთი სპორტი".

### პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში

**უკანა ხაზი**

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტულუში (დინამო)
არჩილ ყლენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

**ფორვარდები**

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლივეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

**ცენტრები**

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოლუაშვილი (ქუთაისი)

**მწვრთნელები**

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

### ანკეტა

უკანახაზელი _ _ _ _ _ _ _
ფორვარდი _ _ _ _ _ _ _ _
ცენტრი _ _ _ _ _ _ _ _ _
მწვრთნელი _ _ _ _ _ _ _ _

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული, „სარბიელი"

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

**გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს**

# ზაზა ფაჩულიამ პაემანი დაგვინიშნა



**ზაზა ფაჩულია** თბილისშია. „ორლანდოს" ქართველი ცენტრი მშობლიურ ქალაქში რამდენიმე დღით ჩამოვიდა, ახლობლებს მოინახულებს, საქმეებს მოილევს და კვლავ ოკეანგაღმა გაუტევს.

„ძალიან ცოტა დრო მაქვს, ბევრგან ვარ მისასვლელი და მრავალი ადამიანი მყავს სანახავი — გვითხრა გუშინ ზაზამ — ცხადია, ჟურნალისტებთანაც მსურს შეხვედრა, ისევე როგორც მათ ჩემთან. ამიტომ გადავწყვიტე, ყველას ერთად შევხვდე. ხვალ კაფე „მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენციაზე გელოდებით."

# 2004 NBA Playoffs

აღმოსავლეთი

## გაიზრდები, ისწავლი

### საპლეიოფო გაკვეთილები მილუოკის


REUTERS მილუოკიდან

რაშიდ ვოლესმა და მისმა „დეტროიტმა“ თითქმის გაიარეს პირველი ეტაპი

— 26 აპრილი —

**დეტროიტი 3:1 მილუოკი**

**მილუოკი 92:109 დეტროიტი**

**მილუოკი:** ჯონსი (17 ქულა, 10 პასი), რედი (12), მეისონი (8), ვან ჰორნი (11), სმიტი (17 ქულა, 12 მოხსნა); კუკოჩი (15), სკინერი (8), სტრიკლენდი (4), ნაითი

**დეტროიტი:** ბილაფსი (19), ჰამილტონი (27), პრინსი (17), რ. ვოლესი (20), ბ. ვოლესი (7); ოქური (8), ჰანტერი (4), უილიამსონი (4), ჯეიმსი (3), ჰემი

ძალიან კი უნდა „მილუოკის“, „დეტროიტს“ არაფერში ჩამორჩეს, მაგრამ ნიჭიერ შემსრულებლებთან ერთად საპლეიოფო გამოცდილებასაც მოისაკლისებს. ამ თამაშშიც 17 ათასი კაცის ერთგული მხარდაჭერით გამხნევებული მილუოკელები მხოლოდ პირველ ნახევრის განმავლობაში სტუმრებს გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ და ერთი ხანობა შვიდი ქულითაც დაახევინეს, მაგრამ მათმა ახალბედა მწვრთნელმა ტერი პორტერმა ძალების გათვლასა და მთელ მატჩზე გადანაწილებაში ბებერი და ცბიერი კოლეგა ლარი ბრაუნის დარი შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინა და ტაიმის მხოლოდ 49:52 წამგები „მილუოკი“ დიდი შესვენების შემდეგ თანდათან ჩამორჩა მეტოქეს.

„დეტროიტს“ არ უცდია მეტოქე უცებ გადაეყლაპა, მთელი სამი მეოთხედი ათამაშა და ბოლო 12-წუთეულში უკვე მისავათებულს მიეტანა. „მილუოკიმ“ გაბორგება სცადა, მაგრამ მისი დაცვა ველარ უმკლავდებოდა მომხდურთა კარგად დაგეგმილ იერიშებს, ბევრი იოლი ბურთიც გაუშვა და ბოლო 12-წუთეული 24:35 დათმო.

„დეტროიტი“ ფავორიტთაგან წლეულს ერთადერთი გამოდგა, ვინც შინ თამაში დათმო და მოედნის უპირატესობა დაკარგა, მაგრამ მილუოკიში წყვილი გამარჯვებით ყველაფერი შესაბამისობაში მოვიდა. სერიის მეხუთე თამაშს დეტროიტი უმასპინძლებს.

დასავლეთი

## დალასი ვერც თავიდან იწყებს

**საკრამენტო 3:1 დალასი**

**დალასი 92:94 საკრამენტო**

**დალასი:** ნეში (15), დანიელსი (9), ფინლი (16), ნოვიცკი (21 ქულა, 14 მოხსნა), უოლკერი (12); ჰოვარდი (7), ნახერა (6), უილიამსი

**საკრამენტო:** ბიბი (22), კრისტი (13 ქულა, 15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20 ქულა, 11 მოხსნა), ვებერი (17), დივაცი (4); მილერი (10 ქულა, 16 მოხსნა), სონგაილა (8), პილერი

პირველივე წრეში გავარდნის პერსპექტივა არც „საკრამენტოს“ ხიბლავს და არც „დალასს“ და ორივე ბოლომდე იხარჯება. სერიის მეოთხე მატჩი ბევრს წყვეტდა, თუ „დალასი“ მოიგებდა, 2:2 გათანაბრების შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყების საშუალება ეძლეოდა და როგორც ამერიკელები ამბობენ, მეორე შანსი უჩნდებოდა. „საკრამენტო“ კი პირიქით, გამარჯვების შემთხვევაში 3:1 გაიჭრებოდა წინ და უპირატესობას მტკიცედ იპყრობდა ხელში.

ამ თამაშისთვის „საკრამენტო“ უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. „მეფეთა“ მწვრთნელმა რიკ ადელმანმა მატჩის წინ მჭუხარე სიტყვა წარმოთქვა — უკან დასახევი არ გვაქვს, დღეს ჩვენი ბედი წყდებაო, ყველა ბურთისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და „მავერიკს“ შარშანდელი მარცხისთვის სამაგიერო გადავუხადოთო და ამგვარი ფრაზებით დაქოქილი „კინგზი“ ანთებული გავიდა მოედანზე.

ნერვების თამაში მთელი 48 წუთი გაგრძელდა. ორივე გუნდი შეტევით განთქმულია, მაგრამ ტუმარმასპინძელი სნაიპერები ბევრ ბურთს აფუჭებდნენ, მოხსნებზე კი „საკრამენტომ“ უფრო იყოჩაღა და ამ კომპონენტში 68:55 მოუგო „დალასს“. ბოლო მეოთხედში „მეფეები“ ლიდერობდნენ. მასპინძლებმა ძალუმად გაიბრძოლეს და ბოლო წუთზე მინიმუმამდე შეამცირეს შიდქულიანი ჩამორჩენა, თუმც მეტის ნება მეტოქემ აღარ მისცა.

შარშან დასავლეთის ფინალში გასულ „დალასს“ ახლა შეცდომის უფლება აღარ აქვს, ყველა თამაში უნდა მოიგოს, რაც იოლი არ იქნება, მით უფრო, რომ სამი შესაძლო თამაშიდან ორს საკრამენტო მასპინძლობს.

გუშინ ნბა-მ დაცვის სიმბოლური ხუთეულები დაასახელა რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით

| პირველი ხუთეული | მეორე ხუთეული |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) |
| რონ არტესტი (ინდიანა) | დუგ კრისტი (საკრამენტო) |
| ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო) | ანდრეი კირილენკო (იუტა) |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| ბენ ვოლესი (დეტროიტი) | თეო რეთლიფი (პორტლენდი) |



მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

## ჩვენთან არ მწევიან!

### ჩეხებმა ზინოვიევი გაშიფრეს და გააგდეს

**A ჯგუფი**

**ჩეხეთი 7:0 ყაზახეთი**
*5:0 0:0 2:0*

**ლატვია 1:1 გერმანია**
*1:0 0:1 0:0*

**B ჯგუფი**

**სლოვაკეთი 3:3 აშშ**
*1:0 2:3 0:0*

**ფინეთი 5:1 უკრაინა**
*2:1 1:0 2:0*

ჩემპიონატი ნელ-ნელა იკრებს ტემპს და ინტერესს. მესამე დღეს ყველაზე სანახაობრივი და დაძაბული მატჩი B ჯგუფში შედგა, რომელსაც სიძლიერის გამო „სიკვდილის ჯგუფი“ უწოდეს. ეს გახლდათ სლოვაკეთისა და აშშ-ის შერკინება. ევროპელთა ნაკრებში უფრო ცნობილი და სახელიანი მოთამაშეები შეყრილან, მაგრამ ამერიკელებმა მათ უდიდესი სულისკვეთება და ჟინი შეაგებეს. ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან — მეორე, ბოლოს კი მატჩი ფრედ დასრულდა — 3:3.

ორშაბათს საკმაოდ დიდი ანგარიშიც დაფიქსირდა — ჩეხებმა პირველივე პერიოდში 5 გოლი შეუგდეს ყაზახებს და მხოლოდ ამის შემდეგ დააგდეს ტემპი, დანარჩენ ორ მესამედში ორი გოლი იკმარეს.

წინა დღეს კი კანადელებმა ავსტრიასთან მინიმალური ანგარიშით მოგებაც კი ვერ შეძლეს. მეტიც, 51-ე წუთამდე 0:2 აგებდნენ და მატჩის ბოლოს მეტ კუკის უმცირესობაში გატანილი რომ არა, კიდეც დამარცხდებოდნენ. საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონები ჩეხეთში ჩასვლისთანავე დაინავსნენ — მათი თავკაცი ჟოელ კენევილი შეუძლოდ შეიქნა (ავადმყოფობის მიზეზი არ გაამხილეს, დაიღალაო თქვეს) და მაიკ ბებკოკით შეცვალეს, რომლის მოღვაწეობაც იღბლიანად ვერ დაიწყო.

რუსებსაც თავიანთი პრობლემები აწუხებთ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩატარებულმა დოპინგ-კონტროლმა სერგეი ზინოვიევს სისხლში აღმოუჩინა მარიხუანა, ჩვეულებრივი ნარკოტიკი, რომელიც არც ერთი წამლის შემადგენლობაში არ შედის. ყველაფერი ნათელია, პირველობის დაწყების წინ ჰოკეისტმა „წაიკაიფა“ და ეს ძვირად დაუჯდა — ჩემპიონატიდან მოკვეთეს.


REUTERS ოსტრავიდან

ზედახორა სლოვაკეთის კართან

**სამველ ლარიბიანი**

## სომხეთში ყინული დაიძრა

**ამას წინათ** რუსულ სპორტულ არხზე „НТВ плюс спорт“ უცნაური ფრაზები გაისმა. ტელეკომპანიის ჟურნალისტები მათ მიერ დაწესებულ სახუმარო პრიზებს ანაწილებდნენ და ერთ-ერთი, სეზონის საუკეთესო მწვრთნელისა ერგო ვინმე გაგიკ ვარდანიანს „გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გამბედაობისთვის“. როგორც გაირკვა, ვარდანიანი სომხეთის ჰოკეის ნაკრების თავკაცია. როგორც შემდეგ ინტერნეტიდან დაწვრილებით შევიტყვეთ, თურმე სომხეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე, ყველაზე სუსტ დივიზიონში უთამაშია, ოთხივე მატჩი წაუგია, სულ 2 გოლი გაუტანია და 73 გაუშვია. სამაგიეროდ, გუნდმა მიიღო „ფეირ პლეის“ პრიზი, რაკი საჯარიმო წუთები ყველაზე ნაკლები აღმოაჩნდა...

ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენმა მეზობლებმა, ეტყობა, მართლა დაძრეს ყინული. უკვე მეორე სეზონია, სომხეთის ჩემპიონატი ტარდება, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობს — სამი ერევნის და ერთიც გიუმრის. თამაშები სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში იმართება.

პლეი ოფი. პირველი წრე

## კოლორადო ზვავმა დაიტანა


REUTERS დენვერიდან

სანხოსელმა ვენსან დამფუსმა „კოლორადოს“ „მკვლელი“ შაიბა გაუტანა

— 26 აპრილი —

დასავლეთი

**კოლორადო 0:3 სან ხოსე**

**კოლორადო 0:1 სან ხოსე**
*0:0 0:0 0:1*

**0:1 დამფუსი (49)**

დაუჯერებელი, სენსაციური, წარმოუდგენელი! რაც გინდათ, ის უწოდეთ იმ ფაქტს, რომ სამი მატჩის შემდეგ თასის ფავორიტი „კოლორადო“ 0:3-ს აგებს სერიას არადა, პირველი ორი მარცხის შემდეგ დენვერელების ქომაგთ ჯერ კიდევ სჯეროდათ თავიანთი გუნდისა. მართალია, კალიფორნიაში ისინი 2:5 და 1:4 დამარცხდნენ, მაგრამ „ზვავების“ თამაში იმედს მაინც ტოვებდა...

ორშაბათის მატჩმა კი ცხადყო, რომ დღესდღეობით „სან ხოსე“ უფრო ძლიერია. პირველ პერიოდში სტუმრებმა ორი ჰოკეისტი დაკარგეს ტრავმის გამო, მაგრამ ბოლომდე გაუძლეს „კოლორადოს“ ზეწოლას და თავიანთი მაინც გაიტანეს. სანხოსელთა დაცვა საათივით აწყობილად მუშაობდა, ხოლო როცა იშვიათად გუნდის კართან ხიფათი იქმნებოდა, მეკარე ევგენი ნაბოკოვი ბრწყინავდა. თავად „სან ხოსეს“ კი რეალური შანსი 49-ე წუთზე მიეცა — ლიდერ პატრიკ მარლოის პასის შემდეგ ვენსან დამფუსმა გაიტანა და „ზვიგენები“ კონფერენციის პირველ ფინალს არნახულად მიაახლოვა.

# HVALA PUNO IVO



მაშინ განწყობა და „სარბიელის" ბოლო გვერდი ასეთი იყო... ივო შუშაკის ნათავკაცარმა საქართველოს ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა.

გავიდა სამდღენაკლული ერთი წელი და შუშაკი თბილისის „დინამოდან" დაითხოვეს. ეს საქართველოდან მის წასვლას ნიშნავს და, მოდით, ნუ ვიქნებით უმადურები. კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა დაუვიწყარი სიხარულისთვის.

# ივო ВЕЛИЧЕСТВО


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა